

# ტატატატაზი

„აჰს. სანდრო ეყულება თითქოს კარვად დაიწყოს, შაქ-  
რამ შემდეგ იქამდე მივიდა, რომ საჭიროა თეატრის და-  
გრევაო... სრულებით საჭირო არ არის თეატრების დაწვეა.  
აჰს. შ. კახიანის საბილო სიტყვიდან საქ. კომპარტიის  
მე-5 ყრილობაზე.

კახიან. მხანა



ლომე

სანდრო:

ჰერი, ჰერი, ცეცხლზე ვმდერი,  
ხელთ მაქვს სპიჩა ერთი ღერი,  
რომ გადავწვა ეს ოპერი,  
მისი ლოვა და პარტერი.

მახანძარი ბარბაროზი

ჰომ, ჰომ, ჰერი, ჰერი,  
ჩუ გამობტა ავერ მწყერი,  
გადასხით სანდროს ჩქერი,  
თორემ დასწვა ყველაფერი

# გ რ კ ა ნ ე ბ ა № 15

ჩვენ ვამბობდით და  
კიდევ აღსრულდა:  
კარზე მოგვადგა  
აგი ზამთარი.

აბა, გვითხარით,  
ვინ თქვენთაგანი  
მის შესახებდრათ  
უკვე მზათ არი?!

კი, მართალია:  
შემოდგომაზე  
გეჭონდა ამ ზამთრის  
ჩვენ მოლოდინი.—

მაგრამ, ვიგრძენით  
უშვალოთ მაშინ,  
როცა გაყინა  
ჩვენი ლოგინი.

ღა შიგ ჩაწოლა  
(ღამერწმუნებით  
თუ გინდ წებოდეთ  
თქვენ სქელ ბუმბულზე)

არ არის ისე  
სახარბიელო,  
ეს როგორც იყო  
უწინ ზაფხულზე.

ჩაგიკეტიათ  
თქვენი ოთახის  
ღერეფანი და  
ფანჯრები, კარი.—

მაგრამ გატეხილ  
მინებიდანა  
მანც იჭრება  
ოთახში ქარი.

შემოიჭრება...  
წველაფერს რეცს და  
აფორიაქებს,  
ვით ბულა ხარი.

ცოლშვილს კანკალი  
ეჭრება მუხლი...  
არ გაქვთ: ლუმელი,  
არცა ბუხარი.

ქვეშ სარდაფში გაქვთ  
გადამალული  
მარშანწინდელი  
თქვენ ფეხი უესტის..

მაგრამ რათ გინდათ  
თქვენ ვერ იშოვით  
ვერსად საყილათ  
შეშას ტყე-ტრესტის.

ეს დალოცვილი  
ხე ამბობსო:  
—შეშა გვაქვს ბევრი  
ზაფხულობითო.—

და ზამთრობით კი,  
გირჩევთ იყიდოთ  
კერძო ვაჭართან,  
თქვენ ფუთობითო!

ასე, ამგვართ  
ზიხართ ოთახში,  
როგორც გამსახლში  
ზის გამფლანგველი.

ხედავთ ფანჯრიდან  
თუ ჩანართ  
გადამხმარია  
შთა-ბარი, ველი.

სიცივისაგან  
ჭბტან ბაეშეები.  
გულში ბუღდება  
სევდა და ჭმუნვა,

და უკუღმართათ  
თქვენ გეჩვენებათ  
ცხოვრების წაღმა  
ტრიალი - ბრუნვა

ეჰ! თქვენ არ იცით  
იგი წამალი,  
რომელიც ჰკურნავს  
სიცივის წყლულებს.

არ არის ძვარი,  
ის იაფია  
და არ თხოულობს  
უამრავ ფულეგს.

ოთხი აბაზი,  
მეტი კი არა,  
ყოველთვიური  
ფასია მისი,—

და ვის ექნება,  
ნეტა ვიცოდე,  
(სხვა არა მინდა)  
იმის სინდისი, —

რომ დაიშუროს  
ოთხი აბაზი,  
და მით არ განდეს  
ჩვენი მკითხველი.

და არ მიიღოს:  
ყოველდღე—„მუშა“  
და „ტარტაროზი“  
კვირა ღღეს ცხელი?!

და თუ ასეთი  
გამოერევა  
ათი ათასში  
მხოლოდ-ღა ერთი,—

მას გაუწყრება  
(თუ შორწმუნეა)  
ძირს — ტარტაროზი,  
და მაღლა ღმერთი.

რა ჯობს, როდესაც  
ამ ცივ ზამთარში  
გარედ სიცივე  
და ავღარია,—

თქვენ ზიხართ სახლში,  
კითხულობთ უურნალს.  
სიძხიარულე  
და ხარხარია!

როცა იცინით,  
არ გცივათ მ. ინი  
(სიცილი ტანში  
გააჩენს სითბოს).

სითბო თავის მხრივ  
აჩენს სიხარულს  
და სიხარული—  
—ცხოვრების სიტკბო!

ოთხი აბაზი  
რა ფული არის,  
იომ მასზე ღირდეს  
ამდენი ბჭობა,—

და გამოიწერთ  
თქვენს ურხალ - გაზეთს  
თუ გინდათ ჩვენთან  
თქვენ შეგობრობა.

დეკემბრისათვის.  
ვაზ. „მუშა“-ზე  
თქვენ მოაწერეთ  
ოველამ ხელი

და სიტყვას გაძლიეთ  
ამ წელიწადში  
ფი იქნება  
უკანასკნელი.

ძხოლოთ ერთი თვე  
პთელს წელიწადში,—  
ერთადერთი თვე  
ეს დეკემბერი,—

და უნდა იყონ  
ხელისმომწერი:  
დიდი, პატარა,  
ერი და ბერი.

**ტარტაროზი**

**ტარტაროზის სასახლე**  
ქაშოს ქუჩა, № 68

**შენიშვნა:**  
უკანასკნელსა  
ვევრდზე უურნალის  
შა ბრძანების  
არის დანართი,


სადაც სწვრია  
ხელისმომწერის  
განმარტებანი  
და მისამართი:

**ტარტაროზი**

**ტარტაროზის სასახლე.**

# ყარმენსის ღაფუბის წინ

ჩვენ დიდი ხნიდან გვექონდა სურვილი მკითხველებსათვის გვეჩვენებია ოპერის თეატრი სურათი. მაგრამ ჩვეულებრივ დროს ვერ მოვახერხებთ მისი გადაღება, რადგან ვერ შევუძლირებთ ისეთი დრო, რომ მის წინ გამგულე-ბი არ ყოფილიყვენ. ბოლოს, სეზონის გახსნის შემდეგ, ეს შესაძლებლობა მოგვეცა. ეს სურათი გადაღებულია სი-ღამოს, როცა ოპერაში სპექტაკლის დაწყების დროა.



ოპერის თეატრი  
თავმო ჩემო, გედი არ გიფხარია;  
არვინ არის ჩემი მაღლივარია  
და ღარბაზი მიტომ ცარიელა...

## კარმენსიტა

დაიდგა. რა უყოთ მერე! „კარმენსიტა“ კი არა, „შია“ და „დეზერტირკა“ იღებება ჩვენს აკადემიურში და ისიც დღეში ორჯერ.

პართალია, „კარმენსიტა“, როგორც პიესა (მის გადამკეთილებლის ლიპსკეროვის წყალობით) სერელე და გამოთქმულია, მაგრამ სამაგიეროთ შინაარსიც უფარგისია.

ბოროტი ენები ამასაც ამბობენ, რომ ეს პიესა მხატვრულად არ არის მისაღები, მაგრამ მაგიერად, იდეოლოგიურად არის მიუღებელი.

ზოგიერთები იმასაც გაიძახიან, რომ აკადემიური დრამის სეზონი მაგისტონა პიესით არ უნდა დაწყებულიყოს, მაგრამ სამაგიეროთ მომავალი რეპერტუარი ამართლებს თავის თავს. ეს არის ამერიკელი შია, ორ ნაწილად და სამ სერიად, „დეზერტირკა“ ახალი დეკორაციებით, სინათლის ეფექტებით, და რაც უმთავრესია, ახალი კულეტებით ჩარიჩამას მოტივზე.

ამბობენ რომ უამრავი ენერგია დაიხარჯა „კარმენსიტას“ მომზადებაზე, მაგრამ მაგიერად თანხებიც არ გაფანტულა ენერგიაზე ნაკლები.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა: აკადემიური დრამა, ცხადია ვერ აუხვევდა ტრადიციას და სეზონს არ დაიწყებდა რომელიმე „მარცხენა საქით“, ან „ზაგმუკით“, ან რომელიმე „პიტაიას ბღაელით“.

მართალია ისიც, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი „კარმენსიტას“ პირველ დადგმას ვერ დაესწრო (ბილეთები აღარ იშოვებოდა), მაგრამ ეს დანაკლისი მით ანაზღაურდა, რომ დარჩენილთაგან იღარავინ შესულა შემდგომ დადგმებზე, პირველ მხახველთა რეკლამის წყალობით.

ამიტომ იყო, რომ მესამე დადგმაზე, რუსთველის დრამის შეკარეები არჩინად განისვენებდნენ: თეატრში აღარავინ შედიოდა.

სრულებით თავისუფლად და თამაშად შევედი კარებში. შეკარეს იმედი დაკარგოდა აღარავინ მოელო და კინოში წასულიყო.


კაველინერმა პალტო ჩაიშორთვა და შემოდგომის ტყესავით გახვეწილ ჩხირების ერთ-ერთ ბედნიერ ჩამოსაქმელზე ჩამოკიდა. ჩემი პალტო ერთად-ერთი იყო, რომელიც იმ დამეს მიიზარა კაველინერმა.

თეატრის დარბაზში შევედი. სვედის მომგვრელია ეს ატმოსფერა. უზარმაზარ დარბაზში ერთი მაყურებელიც არ ქაჭანობს. „აი დრამა და თუ გნებათ, ტრაგედია!“—გამიელვა გულში.

გული საგულეში ჩაემაგრე და ბუფეტისკენ გაუხვიე. აქაც დამალონებელი სურათია. ბუფეტის პატრონს გული უწუხს. მისი აზნაავი სტირის.

— რაშია საქმე?  
— ეილუპებით თუ ეს „კარმენსიტა“ გააბშირეს კა-  
ცი აღარ დადის...  
ხანი გავიდა.

ქართველი ემიგრანტები ინგლისის ნავთის ტრესტის მეთაურის ჰენრი დეტერდინგის დახმარებით აწყობდნენ გერმანიაში ყალბი ჩერვონ ცუბის საბეჭდავს. (ვაჭუთებიდან).



დეტერდინგი: ყალბი საქმის კეთებაში თქვენც ეცადეთ, არ ჩამორ ჩეთ. ოსრინი ნოი (ერთად): ჩვენ კი, ჩვენო დილო ჰენრი, გვიწყალობეთ, რაც რომ მოგჩეთ!

ერთი-ორი მოქალაქე შემოვიდა. მ საათი შესრულდა. საზოგადოებამ ამატა და 8 ნახევარ საათისთვის უკვე ოციოდე მოქალაქე შეგროვდა. ბუფეტის პატრონი გამოფხიზლდა, მაგრამ ისევ მოიღობდა:

— აქაურ თანამშრომლების ნათესავ-მოყვრები არიან, ჩაილაპარაკა მან.— მათგან ხეირი არ იქნება.

როგორც იქნა, ფარდა აიხადა. წარმოდგენა დაიწყო. პირველი აქტი ჩინებულათ დამთავრდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მსახიობთა ხმა, რადგანაც საერთოდ დაკალიერებული დარბაზი საუბრო რეზონანსს იძლევა.

აქტი გათავდა და საღიაც დარბაზის სიღრმეში გაისმა ტაში „სოლო“.

დაიწყო მეორე ანტრაქტი. გავიდა 5 წუთი. არ იწყება. ბუფეტში გავედი. „ბუფეტჩიკს“ ორი ზოთლი ლიმონადი გაესალეზა და ახლა ვილაქას ესაყვიერებოდა.

გავიდა 10 წუთი, 20, 25 და ნახევარი საათიც. ხალხი (თუ შეიძლება ხალხი დაუძახო 11 ნახევარ მაყურებელს) დარბაზში დაბრუნდა ფარდის ახლის მოლოდინში.

დასურულ ფარდაში არაფერი სჩანდა, მაგრამ ეტყობოდა რომ სცენზე დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებდა. წამდაუწუმ ისმოდა ჩაქუჩის რაზარული, დეორაციის ხმაური, მტვრევა და ნგრევა.

დარბაზი სმენად გადაიქცა.

— გადმოდი აქეთ!— გაისმა ხმა ფარდის უკან.

— ჩამოიდე; არ არის საქირთი!

— ეს დააქედი!

— გაგისმა თავი... ნუ მოგაქვს აქეთ, საით შოარახუნებ!

ერთი სიტყვით სცენაზე მუშაობა დუღდა და ვადადუღდა. დრო მიდიოდა. ამ ხმაურობაში ერთ ჩემ მეზობელს ჩამოქინა. მეორემ ნამდვილი ხვრინვა ამოუშვა.

— გაჩერე, გაჩერე!— გაისმის სცენაზე.

ვილაქამ გაზეთი ამოიღო. ერთმა ჟურნალი გაშალა. მეორე იარუსზე აშკარა ჩხუბი შეიქნა. ცოლ-ქმარი ეღავებოდნენ ერთმანეთს.

— შენი ბრალია, შენ წამომიყვანე!— ესაყვიერებოდა ცოლი.

— შენ ამოიჩემე, თორემ რა დემრთი გამიწყობოდა და აქ წამოვიდოდი.— იმათილებდა თავს ქმარი.

გადაშუალამდა.

კაკუნი ისევ გრძელდება.

ტრირირახხხ... ვატყდა რაღაც სცენაზე. ჩემი მძინარე მეზობელი შემინებული წამოვარდა, თვალები მოიფშვინტა და რომ დარწმუნდა, რომ მიწისძვრა არ ყოფილა. ისევ განაგრძო ხვრინვა.

— რათ გასტყე შე შეჩვენებულო?— ისმის სცენაზე.

— მე რა შუაში ვარ, თავისით ვატყდა.— იმათილებს ვილაქა თავს.

— ჰადინი, ჰადინი! გაგისმა თავი...

დერეთანში გავედი. მეკარეებს სძინავს. კაპელდინერს ჩემი პალტო მოუხურავს და დასძინებია. ფრთხილად ავაძვრე პალტო და დარბაზში დაებრუნდი.

— აქ რაღაც სხვა იდგა ვანო!— ისმის სცენიდან.

ვილაქამ ჯიბის ქადრაკი ამოიღო. ერთი ანეკდოტებს მოყვა.

— ამოგივარდათ ოჯახი. დასწით უკან!— ყვიროს ვილაქა სცენაზე.

— ჩქარა ვანო, ჩქარა!

ვანოც ჩქარობდა ალბათ. სცენაზე ერთი ორომტრიული იდგა.

— დიდი აღმშენებლობითი მუშაობა ამ ჩვენ სცენაზე!— წამოიძახა ჩემმა მეზობელმა, რომელმაც უკვე გამოიძინა.

ცოლქმრის ჩხუბს კულმინაციურ წერტილამდე ავიდა და ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე, რომ ქმარს დემონსტრაციულად არ დაეტოვებია დარბაზი.

შახმატის პარტია დამთავრდა. მკითხველებმა გული იჯერეს ძველი გაზეთებით. ანეკდოტებიც მოთავდა.

— მოთინებაც კარგი საქონელია, მაგრამ...— ჩაიბუტბუტა ჩემმა გამოძინებულმა მეზობელმა და კარებისკენ გაემართა. აედექი და მეც გამოვედი. მეკარეებიც გამოფხიზლებულიყვენ და კაპელდინერს დასცინოდნენ, როგორმელებსაც ჩემი საკუთარი პალტო მოვპარე.

ფარდა აიხადა ალბათ... გათენებისას.

რა ცოლოა მართლაც თეატრის ბუფეტის პატრონი „კარმენსიტას“ გადამკიდე.

აღლარა-აღლარხან.

# „ნ ა ლ ი რ ო ბ ა“



პატი მლიცინილი (გეორგის):—რას დახდე კვალ დაკვალ მაგ მოქალაქეს?  
 ამორა მლიცინილი:— ეგებ პაპიროსის ნაშწავი დააგდოს ქუჩაზე და დავაჯარიმებ, ამას მაინც ექნება ფ...  
 ლი,—სხვებიდან ხეირი ვერ ვნახე.

## კ ო ლ ო ს ა

მოგმომედი პირნი:

პოლოს ტერ-გალუსტოვი — ვაჭარ  
 შუშანიკა, მისი ცოლი.  
 მარო, პოლოსას ასული.  
 პეტრე ფუჭავატოვი.  
 სათენიკა, მეზობელი.

(სცენა წარმოადგენს სასტუმრო ზალას. — მაოჯენიე და მარცხნივ კარებია. — ქუჩის პირას ორი ფანჯარაა. ზალა მორთულია მდიდრულად).

მარო: (ფანჯარაზე ზის და პეტრეს მიერ მოწერილ წერილს უბიდან ამოიღებს) ეენაცვალე ჩემ პეტრეს, ჩემ პეტრეშვას, გუშინ წერილი გამომიგზავნა ბიჭის ხელით და სევდიანი გული გამომხიარულა. (დაპოცნის წერილს და ისევ უბეში ჩაიდებს ამ დროს შემოდის შუშანიკა მარცხენა კარებიდან, მაგრამ მარო ვერ ამჩნევს) ნეტა, როდის მოვა ჩემი ბიჭიკო!

შუშანიკა: ვინ ბიჭი შეილო! რომელ ბიჭიკოზე ლაპარაკობ?

მარო: (გაწითლდება) არა, დედილო! ბიჭიკო კი არა, ჩიტკო მეთქი. (ქუჩისკენ თითს გაბზვევს) აბა გაიხედე

ფანჯარაში, საწყალი ჩიტი როგორ მობუზულა სის ტოტ-ზე და სიცივით ცახცახებს.

შუშანიკა: პო, მე მეგონა ბიჭებზე ლაპარაკობ მეთქი. მარო: ბიჭებს რა თავში ეხლი.

შუშანიკა: რა ვიცი შეილო. ეხლანდელი ქალები სულ გეყვარებით თხოვდებიან და ეგები შენც ვინმე ჩავიჭირა გულში.

მარო: დედილო, სად მიხვალ რომ საგარეოდ გამოწყობილხარ?

შუშანიკა: ბაზარში, მამაშენს სახალათე უნდა ვეყიდო. სახლზე თვალი გეჭიროს (გაღის)

პეტრე: (კულისებში მღერის)

დავიღალე საყვარელო,  
 დავიღალე ლოდინში,  
 გარეთ ვდგევარ გელოდები  
 შენ კი გორავ ლოგინში.

მარო: (წამობტება ზეზე და სინარულია შესძახებს)— უი, ჩემი პეტრე! რა მშვენიერად მღერის.

პეტრე: ემაწვილივით ფეხებს იქნევ.

იკრიკები გიყივით,  
 მე კი კარში საცოდავად  
 ვიფიხები სიცივით.

მარო: (ფანჯარას გამოაღებს და გადასძახებს „მხოლოდ შენ ერთს“ ჩმაზე):

მოდი, მოდი, გენაცვილო  
მოდის გულში ჩამეყარა.  
ნურადრის ნუ გეშინია  
ღია არის სახლის კარი.

**პეტრე:** (მარჯვენა კარებიდან შემოვა და გადახეხევა მაროს): როგორ არის საქმე? შენს მშობლებს ხომ არაფერი გაუგია? ვილაკამ მითხრა, თითქოს მამაშენი სხვაზე გათხოვებს!

**მარო:** ვის გათხოვებს! ჩემი ნება არ არის— ვისაც მინდა იმას გავყვები, რა მამაჩემის საქმეა.

**პეტრე:** — ეგ მართალია, მაგრამ ვალდებული ვართ შევეტყობინოთ ჩვენი საიდუმლოება და თუ უარი განაცხადეს ჩვენს შეუღლებაზე, მაშინ ჩუმათ წავიდეთ „მმარში“ და ხელი მოვაწეროთ, მერე ვერაფერს იხამენ. ძალაუნებურად დაგვყაბულდებიან. (ხელს გაუშვეს) ესლა კი მშვიდობით.

**მარო:** მოიცა პეტრე, ამაღამ კინოში მივდივარ და არ გამომყვები?

**პეტრე:** — რომელ კინოში?

**მარო:** — აპოლოში.

**პეტრე:** — მაშ სალაროსთან მოველოდები. (გადის).

**მარო:** — ნეტა ვიცოდე, დედამა რად დაიგვიანა. ეჰ, წავიდე ჩემი ოთახი დავალაფო. (გადის).

**შუშანიკა:** — (შემოდის მარჯვენა კარებიდან) უჰ, დავიღალე ბევრი სიარულით. (ჩამოჯდება სკამზე და მაროს გასახებებს): მარო, მარუსი! სადა ხარ შეილო!.. (ხალხისაკენ) სად წასულა ის გასაგლეჯი, ვინ იცის — ბიჭობში წავიდა სასტიკნით. (ჩაფიქრდება) ეჰ, მეტი რა შერჩება. ახალგაზრდა ქალია. მე რომ გასათხოვარი ვიყავი, ოთახიდან ცხვირს არ მაყოფინებდნენ გარეთ. ათასში ერთხელ თუ გავიპარებოდი ჩენ ტოლ ამხანაგებში სათამაშოთ და მაშინაც უტემაბი არ გადავჩრებოდი. 'გავთხოვდი და მამაჩემი სულ იმას ჩამწურჩულებდა: ქმრის მონა და მორჩილი იყავი, სიტყვა არ შეუბრუნო, არაფერი აწყენინო და ბედნიერი ქალი გამოხვალო, მეც ისე მოვიქციე, როგორც მამაჩემმა დამაბრია, მაგრამ ქმრის გინება და მოშტები ჩემ გვერდებს არ აკლდა. (პაუზა) ვენაცვალე ამ კომუნისტებს, რაც ესენი მოვიდნენ, ჩემ გვერდებს მუშტი არ მოხვედრია. კარგი კანონებიც გამოსცეს: ქალი მამაკაცთან გაარაუნაპრავებს, ყენოდელი გახსნეს და სიტყვის სლაბობა მოგვეცეს. მართალია ჩემ ქმარს, ხანდისხან ცემის ხომ მოუვლდის ხოლმე, მაგრამ ეშინია.

**პოლოსა:** (შემოაღებს ოთახის კარებს და გაჩერდება. შუშანიკა ვერ შეამჩნევს):

**შუშანიკა:** მერე, რა დარწმუნანა კაცია. ერთხელ არ მახსოვს რომ თეატრში წავეყვანი; მაგისტანა ძუნწი კაცი ჩემს დღეში არ მინახავს.

**პოლოსა:** ჰა, შუშანიკაჲ, ეგ რეებს ლაპარაკობ. აეთ ხომ არა ხარ?

**შუშანიკა:** (შეშინებული წამოხტება ზეზე). შე მიწადსაყრელო, ჩუმათ რომ არ შემოიპარო არ იქნება?!

**პოლოსა:** ვა, ესაც სათა... შენ რომ გიცივით ზოდადებ, ეგ რა ჩემი ბრალია?

**შუშანიკა:** გიყვები ჭირიც დაგეტაცოს და ჩემაც თანა.

**პოლოსა:** — (ხალხისაკენ) ვე, ტენის პრუჟინები ხომ არ მოშლია ეე, რეებს ლაპარაკობს? (შუშანიკას) შუშანიკაჲ. ხაჩემ ტაკოი სერდით? წიწყა ხომ არ გიქამია ამ დილით?

**შუშანიკა:** განა პოლოსა ვარ?!

**პოლოსა:** — მაშ. რათა ხარ გაჯავრებული?

**შუშანიკა:** იბიტომ, რომა ფული გუნანება ჩემთვის.

**პოლოსა:** — რათ გინდა ფული?

**შუშანიკა:** — თეატრში უნდა წავიდე.

**პოლოსა:** — დედაკაცო, ეშმაკების მაჯლაჯუნაზე ხომ არ შემეჯდარხარ, რომ ყოველ ღამე თეატრებში დავლიხარ?

**შუშანიკა:** — გაჰქრა ის დრო, როცა კუსებებ ვიჯექი

ოთახში და ყველაფერის ნატრული ვიყავი. თუ კი შენ ქვიფობ სამიკიტნობში და დროს ატარებ, მეც მინდა აუბატრებში დროს გატარება.

**პოლოსა:** ე, კურუმსალ. თეატრებში სულ პოჟოლუსტა ხალხი დადიან და შენ ხომ პოჟოლუსტა არა ხარ?

**შუშანიკა:** — მე პოჟოლუსტაცა ვარ და კურსტიტკაც.

**პოლოსა:** — (გაკვირვებით) ეჰე, როგორც გეტყობა მალე კომსომოლისტაცა გახდები.

**შუშანიკა:** — შენ ბევრს ხუ ლაპარაკობ, თუ ფულს იძლევი, მომეცი, თუ არა და წავალ.

**პოლოსა:** — საცა გინდა წადი. საშენო ფულები არა მაქვს.

**შუშანიკა:** — (სარკესთან მივა და თმებს შეისწორებს) მე მივედივარ. (გადის).

**პოლოსა:** — ეს არტისტები უნდა დაიჭირო და სათითაოდ ყველას ენა უნდა ამოაგლიჯო შოგ ძირში, რომ თანხიანთ იშკილბაზობით ამდენ ხალხს ატყუებენ. (ჩამოჯდება სკამზე) ვაჰ. კაცო. ეს რა დრო მოვიდა. შიშით ხმა ვერ გავიცია ქალისათვის. ეტყვი რამეს და ხელაოვე ენა-დელში გარბის საჩივლელოდ. ეს სულ კომუნისტების ბრალია ამ ქალების გათამამება.

**სათენიკა:** (კარებს აკაკუნებს) შუშანიკა! სახლში ხარ?

**პოლოსა:** (წამოღდება ზეზე და კარებს გაუღებს) მოდი რალა, რა შორიდან კითხულობ?!

**სათენიკა:** სად არის შუშანიკა?

**პოლოსა:** რათ გინდა?

**სათენიკა:** მარტოკა წასვლა მეზარება თეატრში და მინდაღა, რომ ერთთ წასულებიყავით.

**პოლოსა:** — (თავისთვის) ვა, ეს ქალები რა შამიჩემის სალოცავს გადაურგევა. ალბათ იმ ჰარამშადა არტისტებმა ჯადო გაუკეთეს ამ ქალებს პრესტაჯელნიის დროს, რომ ყოველ ღამე ფაცა ფუკით გარბიან თეატრში, (სათენიკას) მერე რას ახევენებენ ი მთეატრში, რომ ყოველ ღამე მიზიბიხართ?

**სათენიკა:** — ამაღამ, დრამაში უნდა უჩვენონ „ზაგ-მუკა“

**პოლოსა:** — ვინ სთქვა იმ მამაცხონებულმა, რომ — ჩქალის თმა გრძელია და ქკუა მოკლეო? არა, თქვე ონერ-ტიალებო, თეატრში რომ ზაკაკაზსკი მუკა, (ფქვილი) არ ნახოთ, დეზურტრკის ბაზარში ვეღარ დაათვალიერეთ? (სათენიკა იცინის) ხვალ დილით გამომეყ ბაზარში და ალაფ გეურჩესთან რახნი სორტის მუკა გიჩვენო: უკრა ინსკი, კუმბანსკი, რასტოვსკი და დონსკი და არც ფული დავგზარჯება.

**სათენიკა:** — (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა, რა ხუმარა კაცი ეოფილსარ. შენ უნდა თეატრში თამაშობდე, ხამდელი არტისტიჩესკი ხარ! წამო ნიკო გოციროძესთან ითამაშე.

**პოლოსა:** — არა, შე მამაცხონებულო! ჰამც გოციროძესთან ვითამაშო, აზირ შენთან ვიკორტილო. ჰამა ქერეციცა ხარ და!..

**სათენიკა:** — შენი ცოლი რომ გაიგებს, მერე?

**პოლოსა:** ვა, იმისი თავის გაზეთქამ, ერთამაშად დამკოვ ვარანცოვთან არ მიჩივლოს, რა უნდა ქნას? ბოლში, ბოლში რაზვოდ... აჰა, მორჩა და გათვდა. (გადახეხევა ამ დროს შემოდინ მარო და პეტრე).

**მარო:** — მამილო! შავას რას შვრები? არა გრცხვენია?

**პოლოსა:** — ვა, ეს რა სირცხვილია შეილო, დედაშენი თეატრში წავიდა და ეს მის ზამესაიტლად დარჩა (შეხედებს პეტრეს) ეს კაცი ვინ არის?

**მარო:** — ჰო, მართლა! ეს ჩემი საქმროა.

**პოლოსა:** — (შეჰყვირებს) რაო?.. გიყეს!

**მარო:** — რა უნდა იუყეს. ეს ჩემი საქმროა და „ხა-სა-ში“ ხელი უნდა მოვაწეროთ. (გადიან).

**პოლოსა:** — (მძიმეთ დაეშვება სკამზე)

ციცინათელა.

# ბინის პარიზის მოგვარება

# მონადირეობის შესახებ



„გ ა მ გ ე“

საწყალი მელა ჩიოდა, არ მომივიდა ძილია;  
 ერთსა საქათმეს მივადგენ, გამოუთხარე ძირია...  
 „ავანსით“ ხელი მოვიტობე, „თანხებს“ გავკარი კბილია!  
 „რემონტებით“ და „შენებებით“ ვიგებე ლუქმა ტკიბილია..  
 „ძმა“ თუ გყავს დიდი დაშხარე — ეს კუთხე მეტად თბილია!  
 სახლი ვიყიდე გამზირზე — რას ჰქვიან განაპირია!  
 „მალზაიც“ კი გავაღე — ყველასთვის გასაკვირია...  
 ვბერავ და ვბერავ „ხოხრასროტს“, როგორც რომ კარგი სტეკირია;  
 გავგიინდა კარგი სახარე, შევქმენი თანხა მცირია:  
 ოცი ათასი „ნაჭაფი“ საქმისთვის შემეწირია!  
 უყვარს ჩემს პატრონს ქეიფი ჩუმ-ჩუმად, ყოველ კვირია;  
 „ქეიფი გოგონებითა“ არც ისე ძაან ძვირია!  
 რა ფიხებს მომქვამს კანტროლი — ჩემი „ძმა“ „გმირთა-გმირია“!  
 მის ეშინოდეს სუყველას, ვინცა რომ არის „ყვირია“...  
 მწყერ-ჩიტა.

ძვირფასი ნადირების დაცვის შესახებ და ამიერ-კავკასიაში კალოშების (იგივე ფენსატუცი) რაოდენობაზე, რომ ცნობები გამოაქვეყნეს გაზეთებში, სხვადასხვა ნადირებიდან მივიღეთ განცხადებები, რომელსაც აქვე ვათვსებთ.

**ტურა:** ჩემს შესახებ ბევრი ყალბი ცნობებია. ალბად გაგვიგონიათ, „მგელს სახელი გაუვარდა და ტურამ ქვეყან დაქცია“.

მე უნდა განეცხადო, რომ დიდი სარგებლობა მომაქვს მექათმეობაში. საქართველოში ისე არაა დაყენებული მექათმეობა, როგორც სხვა ქვეყნებში: ქათმები, ინდაურები, ბატები და სხვა შინაური ფრინველები სრულიად განადგურდებოდნენ ჩემი შიშით, რომ ბინებს არ უკეთებდნენ.

თითონ მე ძალზე შეუწუხებელი ვარ უბინაობით. ჩემთვის სოროს გამოთხრა მეზარება, და თუ მაჩვენა გამოთხარა, შევასწრებ და იქიდან კბილებს დავუკრეკ. ამაზე დიდი უსიამვნება მოგედის ხშირად. როდესაც მოხდინონ მაჩვენის აღრიცხვა, გთხოვთ ყველა მაჩვი გააფრთხილონ, რომ ბინის შესახებ არც ერთმა იმათგანმა არ ამიტუნოს დავიდარაბა.

**დათვი:** რაც ლევარსი როხრაზაძემ ჩემ ნადირობაზე ხელი აიღო, სხვას არ გაუბედღავს რაიმე ეთქვა: კიდეც მეტი — ფასანაურში ჩემ ძმას ანრი ბარბიუსმა ხელი ჩამოართვა და ვაშლი უთავაზა. მე მოვიტხოვ ჯაჭვით წულარ იქნებთან ჩემი ამხანაგები დაბმული და ჩემსავეთ ისეირნონ ტყეში.

**მგელი:** ჩემი დამსახურება ძალიან დიდია. ეხლა ყველამ შეიგნო რაშაცაა საქმე, თორემ წინად ზოგი სახარებას კითხულობდა, ზოგი დაიფიქს, ბევრი უსმენდა, ბევრი არ უსმენდა; მაგრამ არსად არ მირბოდა. მე ვერ ავიტანე ამდენი ცრუმორწმუნეობა და ტყეში გავიქეცი. გაიგონებდით ალბად: „მგელის სახარებას უკითხავდნენ და იგი მაინც ტყეში იყურებოდაო“. შაშასადამე: მე წინაც არ მწამდა ღმერთი და მისი სახარება და ყოველთვის ანტი-რელიგიურ მოქმედებას ვიჩინებდი.

ამდენი დაშახურების შემდეგ, მონადირეთა კავშირი ისე გაკაღბერდა, რომ თითო მგელის თაყი სამ მანეთად შევადგუსა. შარშანწინ, როცა ძალიან აცივდა და თბილისში მოვიდა ჩემი ამხანაგებით, მილიცილებმა კი ომი გამოგვიცხადეს... რადგან გადავიწყვეტიათ: „სანადირო ობექტების აღრიცხვა“, მე ჩემი ამხანაგებით ვეწვევი თბილისს და იმედა პაოლო იაშვილი თამალობას გავვიწყვეს. ამას წინვიც ვაპირებდით, როცა ტყეები ქალაქებში გადასასლეს და დასაშალავი ადგილი არ გამაჩნდა, მაგრამ დეკრეტს უცდილი.

სიმონ-ალა.

### ევროპის გოდვა

წარმოიდგინეთ თქვენ, ქალაქი ჯუჯარმარი ქუჩებით, საღაც დადიან ქალები გაკრასკული ტუჩებით.

წარმოიდგინეთ თქვენ ათიათასი ავტობუსები, რომლებიც უსვრიან, როგორც ბუზები. წარმოიდგინეთ სხვა მანქანები მეტად ურჩები, რომელთა ხიფათს უცხო კაცი ძლივს თუ გადაურჩები.

წარმოიდგინეთ თქვენ უჯარმაზარი სახლები, ძველის - ძველი შენობები და აგრეთვე ახლები.

წარმოიდგინეთ თქვენ ფულით გატენილი დახლები და სპეკულიანტები, ვით ცოფიანი ძაღლები. — აი თანამედროვე ევროპა, რომელმაც ძალიან შორს შესტოპა, მაგრამ ამერიკამ თავზე კეტი როფა, რის შემდეგაც ვერ არის სახარბიელო მისი ყოფა.

— შე მამაცხონებულო, ევროპაში ყოფნის დროს მუდამ ქუჩაში ხეტიალობდი და სხვა არაფერი გინახავს? — დააპირა ვილცამ კიოხვა, მაგრამ განაგრძო:

ამგვართ ევროპიული თეატრი, ვიტყვი მართალს—არ მექნება მისი ხათრი, — წარმოადგენს სხვა არაფერს, ვიდრე ჩოგანს და ლაფერს, რა ხაც ესენი შეაშაადებენ, ის სცენაზე მოაქვთ და დებენ.

ასეთია როლი ევროპაში მსახიობის.

მაჟურებელს უნდა ჰქონდეს მოთმინება იობის, რომ უსმინოს ასეთ მოხსენებას (თავის - თავს აძლევს დიდ ნებას), მაგრამ იგი არ ეყოფა, — სუსტი აქვს კაცს ნების-ყოფა.

წარმოიდგინეთ ჩვენ უჯარმაზარი მოხსენება, მაგრამ შიგ არ იყო რასაც მოველოდით იმის ხსენება.

ლევარის როხროხაძე,

### საბჭოთა-სოციალისტური გამთავისებვა



1. სახინმრეწვი — უბრალო თვალით.  
2. სახინმრეწვი — გამადიდებელი რუხით.

### სახინმრეწვის




ღერბი

ბარტაროზის

პროვებით.



# გაფუძვლილი ფური



## სახკინმრეწვი

სახკინმრეწვის ღირებულება საიქიოში ლსუოთს გაუგზავნა შემდეგი რადიოდება:

თანახმად გამგებობის დადგენილებისა, სახკინმრეწვის ადმინისტრაცია გრწვევს თქვენ მთავარ ინსტრუქტორათ. თქვენი მოწვევა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

ამდენი ხანია არსებობს სახკინმრეწვი და შიგ არსებულ ქაოსის ჩამოყალიბება და განდევნა არ მოხერხდა (და არც იმედი გვაქვს ოდესმე მოხერხდეს). ამიტომ, იცის რა სახკინმრეწვემა, რომ თქვენ ექვსი დღის განმავლობაში ქაოსისაგან შეპქენით და ასე მშვენივრად მოაწყვეთ მთელი სამყარო, — იგი (სახკინმრეწვი გიწვევს თქვენ სახკინმრეწვის მთავარ ინსტრუქტორათ და გთხოვს სახკინმრეწვის არსებულ ქაოსისაგან შეპქნათ გადგეოლი რამე.

ჯამაგირი და ტანტიემები მოგეცემათ თანაბრათ სახკინმრეწვის ღირებულებისა.

ერჩებით თქვენს მოლოდინში.

გ. გ.

პასუხი:

თქვენი მომართვა მივიღეთ და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მატერიალური მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო, — მე მაინც იძულებული ვარ არ დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა და მოწვევა, რისთვისაც ვწუხვარ და ბოდიშს ვიხდი.

უარის თქმის დროს მე ვხელმძღვანელობდი შემდეგი მოსაზრებით:

მართალია: ექვსი დღის განმავლობაში მე შევქენი ქაოსისაგან სამყარვის) მდგომარეობა უფრო ქაოტიურაო, — მაგრამ თქვენი (ე. ი. სახკინმრეწრია, ვიდრე პირველყოფილი ქაოსი, რომლიდანაც (კიდევ ვიმეორებ) მე შევქენი მთელი სამყარო თავისი მრავალსახეობით.

ამიტომ, ექვსი დღე კი არა, ექვსი წელიწადიც არ კმარა თქვენი ქაოსისაგან რამის შესაქმნელათ. ამ სიბერის დროს მე ჩემს ხელობას და პროფესიას ვერ წავახდენ. იმედი არა მაქვს, რომ სახკინმრეწვის ქაოსისაგან რამე შევქენა, ვინაიდან, თქვენც კარგად

მოგესტენებათ, — „არარაობიდან არს იქნება. რა“.

არის მხოლოდ ერთადერთი შესაძლებლობა და ეს შესაძლებლობა ასეთია:

სავესებით, ძირიან-ფესვიანათ უნდა მოისპოს ეს სახკინმრეწვის ქაოსი, რომლიდანაც თქვენ გინდათ ახალის შექმნა, (მაგრამ არაფერი გამოდის). თუ ეს ასე მოხდება, — შემდეგ ახალნიდაგზე შესაძლებელი იქნება ახალის შექმნა.

ამასთანავე ერთათ გიცხადებთ, რომ მე სხვა ღმერთებს, რომლებიც ეხლა თქვენს სახკინმრეწვეში არიან, ვერ ავიტან და ვერ შევეუროდები მათ ღმერთობას.

ამ ჩემს მოთხოვნილებაზე თუ თანახმა იქნებით, მაცნობეთ, და მე მზად ვარ გემსახუროთ.

მეგობრული სალამით: მამა ღმერთი ღმერთის ასეთი მოთხოვნილების შემდეგ, სახკინმრეწვემა გასწვევითა დიპლომატიური მოლაპარაკება ღმერთთან.

ისეღორ.

# ჩემი სეპულქა

(უხარო სწორამთ—ტირილი)

ზამთარი მოვიდა,  
 კიდევ ჩამოთოვა.  
 მე უნდა დაიწყეთ  
 ტირილი და გლოვა.  
 ყველა დარწმუნდება,  
 რომ მაქვს გული-კაეი,  
 ოთხწლად შევასრულე  
 უმუშევრის სტაფი.  
 ბინა მაქვს ისეთი,  
 როგორც საყინულე.  
 მთელი ღამე წუხელ  
 შეიწვი, ვიკუნკულე.  
 მეზობლებს აღვიძებს  
 ჩემი ოხერა-ხენემა.  
 (მათ რა ენაღვლებათ,  
 ბლომად აქვთ შემა).  
 მათაც უკვირთ, ასე  
 სანამ უნდა ვიყო;  
 მაგრამ ჩემი ტირი  
 არავინ გაიყო.  
 უქმელ ობისაგან  
 ვგვევარ ძალსა შწივარს.  
 ისე, არა მიშავს,  
 როგორც უმუშაობს.  
 არავინ არ მიყურებს  
 მე, საცოლოს გვიანს;  
 ვეპებ, ვერ ვპოულობ.  
 ლამაზს და მზითვიანს.  
 ხალხნო, ნუ თუ ასე,  
 უნდა გავითოლო  
 მამა ჩემი მთვლის:  
 „უნდა შეგარტის, ბოშო“.  
 სირცხვილს ვინ დაეძებს,  
 როცა გახმა კუქი  
 და როცა სიტყვე  
 მიჭირს, ვით მუხრუჭი.

სეგიერ-ბენ-შეიზ

# სახ. ღრავა სანწორზე



# ჩემს თავზე

(უხარო კაცის აღსარება)

საშინლად მეზარება უფულობა. მიყვარს კეთილი ცხოვრება, კარგი ტანისამოსი, ბევრი ფული. ცოტა მუშაობა და ღამაზ ქალიშვილებში ვეფხვივით ტრიალი. მძულს მათხოვარი და მასთან შეხვედრა. არ მიყვარს უსადილოა და უფასუშოთ დაიჩენა, რომ ცივ ოთახში ცხოვრება, კიდევ ბევრი რამ მძულს ამ ქვეყნად და მზავალ არს საგნები, რაიც მიზიდავს.

შევიძლია დავიკვებო: ჩემსავით ბევრი არ სცხოვრობს თბილისში. ეს არის ფაქტი, მაგრამ ვინაიდან ასეთ ჩემს დებულებაში ბევრი ექვს შეიტანს, ამიტომ მოვიყვან შიშველ საბუთებს. სიშიშველე თუმცა არც ისე დიდ სირცხვილად ითვლება, თორემ ამდენი ხანი ზოგიერთი ოპოზიციონერი სირცხვილით დაიწვოდენ, რომ მხედველობაში არ მივიდოთ ქალები. რომლებმაც ზამთრისათვის უკვე აიფარეს ტანზე ძვირფასი ფართლის ნაჭრები.

18 წელიწადია თბილისში ესცხოვრობ და ცალკე ოთახს ჩემს სახელზე არც მე და არც სხვას არ დაუქირავებია. ჯამაგირში მართალია ვიყავი, მაგრამ რალაც რაციონალიზაცია მოგონეს და მე გეონია, რომ შემაძმოვლონ. ისე გრძელ-გრძელი და მოსულ-მოსული ბიჭი არც ამდენი ხანი ვიყავი. კოტე ფოცხვერაშვილს დავეტოლე: ირთხელ და ხელი რომ აუწოდე ქაზრამდი კიდევ ვერ

მიუწვდი. (რა უჭირს რა, მისთვის ფულის ამოსაცოცება ლათ ჯიბეებში კიბის მიღება დასჭირდება). მაშასადამე, შემოკლება მელის ჯამაგირი, როცა ამიღია მესამე დღეს შემდეგ ფული მინც არა მქონია და შემდეგ ჯიბეებში ხელზე ჩამალულს დამჩენოდა მხოლოდ, რომ რუსთაველზე საბა სულხან ორბელიანის სიღინჯით გამგესიერ ნებათ.

ისე, საცოლე ბიჭი ვარ. მომწონს რამოდენიმე ქალიშვილი და რომ ერთბაშათ არ გამაგდონ და მთელ ხალხში დამინახოს ვინმემ. ვიწყებ მათთან მეგობრობაზე თეორიების განვითარებას და ესტუტუსე სხვების საქციელს, რომ ქალიშვილებთან მეგობრობით არა სცდებიან და მომავალ ოჯახურ ურთიერთობისათვის პრაქტიკულ სამზადისს აწარმოებენ. უხ, რა მეშინები არიანთქო, ვიმეორებ მე ქალებში ხშირად. ერთხელ ვილაქ მოსაწონ ქალს. როცა მელიც შემდეგ ერთი დაწესებულებას დამგველი აღმოჩნდა, — თავი პოეტად გავაცანი. მოვიწონე ალბათ და როცა პროსპექტზე მასთან ხელი-ხელ ვადახლართული მივდიოდი... შემომხვებენ მაშუთში საგანგებოდ დასერილი ახალგაზრდა მათხოვრები. ფული, ფულიო მესმოდა ირიგლევი, ხოლო ჩემს ჯიბეში იყო მხოლოდ ორი შაური, რომლითაც პური უნდა მიყიდნა სახვალთოთ.

# „აპერიკელი კია“

## სასრფონს

(ხალხური ფუტურიზმი)

ერთელ შევხვდი ერთ ქალს —  
ბატის ჰქონდა მიზობრა;  
ო, მის ვახსენებაზე  
გული ეხლაც მიობრაეს.

ვუთხარ: ისე შეყვარხარ,  
ერთ სახედარს ბოლოპული:  
გოგო უნდა შეგირთო  
ნუ მომიკალ ეგ გული

ქ:ლო, უნდა შეგირთო,  
ქალო წერწერტ-ფეხება;  
მილიონად მიღირს მე  
შენი სელის ეშება.

თუმც ხარ ცოტა კოკლი და  
თვალე უსწორ-მასწორო,  
მაგრამ ჩემთვის ოქრო ხარ —  
ჩემი სულისა სწორო.

ლუმც ხარ ცოტა კაროენა  
და „ვიდი“ გაქვს ყვევისა,  
მაგრამ ტროფობით შენდამი  
გული მაინც ყვევისა.

თუმც ხარ ენა თლიფინა —  
და იქნებ ხარ რქოსანიც,  
მაგრამ ფეხქვეშ გვეგები  
შენი ტურფა მგოსანი.

ეგებ ეინშემ გადაროს  
ჩვენ ხბოს უშნო — დრუნჩინას.  
მაგრამ ვიცი მაგ ბავთ  
გული ვერ გაღუტება.

ეგებ თეძოც ცოტათი  
შენ გაქვს ამოვარდნილი,  
მაგრამ ჩემთვის შენა ხარ  
სამოთხის წყალვარდნილი.



ზანღუხტი: — უი, ქაა! ეს სტატუა ამ ტრიატის ხა-  
ზენი იქნება ამ კარებში რომ დაუგლიათ!  
არშაქ მინანიჩ: ვაჰ! ხაზენია მა.ზ. რა არის! არ  
იცი? ეს ამერიკელი ძიაა!

— დიადია, დიადია, ტეოი ენა დუშკა! დიად, კაპეიკუ!  
— მომხაზოდენ ალყაშემორტყმულს და როცა არათერი  
ჯამოვიდა, ერთ მათგანისათვის მოვინდომე წისლი მეთა-  
ვაზებია. ფეხი ამოჩრილ ჭვას მოხვდა და ომამდე ნაყიდ  
ფეხსაცმელზე საიდუმლოთ დაკრული პადოში ჰაერში  
შეთამაშდა. შევრტყვი. ჩემმა ცალმა უსირცხვილო ფეხმა  
ფეხსაცმელთან ერთად სადღაც პარტიანკაც მიაკარგა,  
ფეხის თითებმა ფუტურისტებიით თავი გარედ გამოყო  
და გაჰქრა ჩემი პოეტური ექსტაზი.

დაბრუნებისას მე ჩემთვის უკმაყოფილოდ ვბურტყუ-  
ლებდი და თურმე უკან მილიციელი მომდევს ქეითარების  
წიგნით — იქნებ ღმერთმა ჰქნას და სადმე გააფურთხოსო,  
მაგრამ გინების სიტყვებს, რომ ყური მოჰქრა — ხულიგა-  
ნათ მიმილო\*) და ვინაიდან თურმე საზოგადოებრივ წეს-

იერებას ვარღვევდი ჩემი ცალი ფეხით, ამიტომ ღამე კო-  
მისარიატში გამათევიეს.

ესეც იღბალია?  
ეგვენ დვალმა მუშკოპის სასაიდლოში თიხელ მა-  
გრად წვიქეიფა. იქვე მოსაძილე გერმანელების დელეგა-  
ციას გერმანულათ, ფრანგებისას — ფრანგულათ და ინგ-  
ლისელებისას ინგლისურათ უთხრა სიტყვები. მაგრამ ვი-  
ნაიდან მისი მისალმება ვერაინ ვაიგო. ამიტომ საპასუხო  
მისასალმებელ სიტყვას ღამის 3 საათამდე უცადა და და-  
ლია ყველა ღვინოები, თუ კი რომელიმე სუფრაზე სასე  
ან ნაკლულ ბოთლის მოჰქრა თვალი

— გაუმარჯოს ეგვენ დვალსო, მთელი ქვეყნის სარ-  
კე-თვალსო! ასეთი ღოზუნგით მას დემონსტრატულად  
დაუტოვებია სასადილო.

ამის შემდეგ თქვენ მითხარით: რა იქნებოდა, რომ  
მიც კარგად ვცხოვრობდე?

მიყვარს კეთილი ცხოვრება.

\*) გულადი მილიციელი ყოფილა, თუ ბულოვანი  
გაონე და მიუხედავად ამისა, მინც არ ჩამოგშორდა.



**მომხმარებელი:** — თუ ვაქვთ სეზონის საქონელი?

**მომხმარებელი:** — როგორ არა! სულ სეზონისაა ინებეთ!

**მომხმარებელი:** — მე კი ზამთრის სეზონისას გე...

**მომხმარებელი:** — აბა, მაშ ზაფხულში მობრძანდით.

შენ ხარ უცხო სატება  
 ამა სოფლად მოსული.  
 ო, შენ ისე დადისხარ,  
 როგორც გოჭი ორსული.

ბეთარი ტილოს ტუფლები  
 ზამთარშიც, რომ განაზებს,  
 რა იქნება ამ ქვეყნად,  
 უტურუფესი მაგაზე.

შენ ხარ ეარდი—კოკობი,  
 გშენის ზილფი—კავები;  
 შენი ერთი კონცისთვის  
 ვეფხვსაც შევედავები.

ეგ გვერდული შეხედვა  
 და მაგ ტუქთა გაღრქევა,  
 გულში მარად იელეგებს  
 გამოუცნობ ბეჭედად.

სხეისთვის ეგებ ყვაიხარ,  
 მაგრამ ჩემთვის ბუღბუღი  
 გოგო ცოლათ წამომყევ,  
 ნუ მომიკალ ეგ გული.

ნუ მომიკალ ეგ გული  
 შენთვის განაწირები.  
 თორემ დამიტირებენ  
 მე წყნეთელი ვირები.

ლილიპუტი,

## იმერული სცენა

დედა, დედა, რა დრო დოუდგათ ამ ქალებს, რავე  
 ეიშენს, რავე დახუნტრუკობენ! ეს ოქტომბერცი რევეო-  
 ლიუტია სწორეთ ამ ქალებიხა პირდაპირ ვაკეთებული.  
 ვისაც უნდა გაყვება-გამოყვება, როცა უნდა გაეყრება  
 ქმარს და როცა უნდა შეეყრება! ერთი სიტყვით, რომ  
 იძახოდენ: „პოლნი უენცი რაენოპრაეიო“ — აგია სწო-  
 რეთ. თქვენ ნუ მოუტყდებით ჩემ თავს!

შევა, ბატონო, ხელათ ის რაცხა ზაქსიო, თუ ზა-  
 ქიო, მოაწერს ხელს, ქმარიც გოფურის ქალს პოდრუქსა  
 და უეე ზაკონი ცოლქმარი მოდიან სახლში! არც საყდაოი,  
 არც სანთელი, არც ხუცესი და არც დიაკონი! ერთი სიტ-  
 ყვით: დილით რომ ქმარი შეინდომოს ქალმა, საღამოთი  
 უეე ქმარიანია არც მომზადება, არც სტუმრები, არც ხარ-  
 ჯი, არც ესა, არც ისა! მერე, თუ არ მოეწონა ქმარი,  
 დატრიალდება ისაია ხუცესის ჯორივით, შეკინტრიშ-  
 დება, შეყრის ტლინკებს და უტეი! უცებ გაეყრება პირ-  
 ველ ქმარს და მეორეს შეეყრება! მე შენ გითხრა ზაკონი  
 დოუდგის! „ინიხაიუ და ბოლში ნიხაეო“. რა უჭირთ, ბიძია,  
 რა, პატარა ანგარიში კი არაა აგი საქმე! პირდაპირ ვაქ-  
 რული ანგარიშია, თქვენ ნუ მოუტყდებით ჩემ თავს. ახ-  
 ლანდელ დროში პატარა ქვეიანი თუა ქალი, უცებ გამ-  
 დიდრდება! კი, ბატონო, კი, არა გჯერათ?!, ა, ბატონო,  
 ვიანგარიშოთ:

ქალი შეეყარა ერთ ქმარს, არ მოეწონა და გაეყარა.  
 ზნაიიტ ქმარმა უნდა მისცეს, ისე ულაპარაკოთ, ის რაცხა  
 ალიმენტია, თუ ჯანაბა! მე შენ გითხრა სუღია გამტყუ-  
 ნებსხელათ გოუკეთებს ქალს პასტანაღლენიას და ზემიაჩე  
 ზებს ხელში! თუ ბიჭი ხარ და ნუ გადიხიდი! თუ გინდა

სულ ცოტა, ერთი თუმანი გოდოუწყვიტოს თვეში, მაინც  
 იმხელა ანგარიში აკეთებს, რომე ვედირევი კაცი! ზნაიიტ  
 პირველი ქმარი აძღვეს თვეში ერთ თუმანს. მეორე დღეს  
 აღება, ბატონო და პირველს გაეყრება და მეორეს შეე-  
 ყრება, მესამე დღეს—მესამეს და ასტე... ასლა იანგარი-  
 შთ თუ ჩემი არ გჯერათ და მიხედვით. წელიწადსა აქვს,  
 თუ ნაკიანს არ ვიანგარიშებთ, 365 დღე, ზნატირ — 365  
 ალიმენტი, ანუ 365 თუმანი. ესე იგი 3650 მანეთი წე-  
 ლიწადში. ორმოც წელიწადში ულაპარაკოთ ჩეიხბრია-  
 ლებს ჯიბეში ას ორმოცდა ექვსი ათას მანათს! დედა,  
 დედა, გედვირევი კაცი! აზხელა ფული სუმრობაა, ბიძია?!  
 მამაჩემს დეცხა მდულარე... გვეყინე ქალათ რა უჭირდა!  
 ასეთი უეეველი ფულის მოგება, სწორეთ რომ საარაკოა,  
 დედა ნუ წამიწყდება! არც ინდუსტრიალიჩესკი ზაიმის  
 ბრლეთების ყიდვა უნდა და არც მისი მოგების ლოდინი!  
 ვაი, აყეფდი დედაჩემო, თუ შენ მე ქალად დაგებადე!  
 სუმრობ, ბიძია, ამ საქმეს შენა?!!

დღეს პავლიას გაეყარე,  
 ხელს პეტრის შეეყარე.  
 ალიმენტები დასვეტე:  
 ფული, ფულზე დაყარე.

აი, ფულის მოსაგები,  
 აი, საქმე რიგიანი,  
 ვისაც ალიმენტი გინდათ,  
 უნდა გახდეთ თქვენ ქმარიანი.

გოგია

# ჩოქოხათის კუთხე



## ალთა-ბალთა

ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა ჩოხატაურში, მაგ-  
წამ იანრ მაინც გაკვირვებულია:

გლებმა მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:  
ჩამოდი გორში, მატარებელზე დაგვხვდები“.

სანდრო

სანდრო ქობულეთში იყო; დეპეშასაც იქიდან აგზა-  
ვნიდა, გლებს გაუყვირდა „გორი“, მაგრამ გაიფიქრა:

— გავკეთდი კაცი: ალბად გორში სამსახური მიშო-  
ვაო! — ისეხა სამი თუმანი და თავი ამოჰყო გორში.

ჩამოჰსტა სადგურში. არავინ არის. წავიდა თბილი-  
სისკენ მატარებელი. ეძებს გლებს სანდროს, რომელიც  
სადგურში უნდა დახვდებოდა, მაგრამ ვერ ნახულობს;

## წმინდათა

ლაპარაკი საგარეგოს ცხრა-წლიან შრომის სკო-  
ლაზე და სიტყვა ეკუთვნის „ჩხლართი“-ს:

ჩვენი სკოლა ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული.  
სადაც კი მღვდელს ან დიაკონს ანაფორა გაუხდია. ყვე-  
ლა აქ იურის თავს იხივს ფოფოლიებით. ჩვენი სკოლის  
მასწავლებლები:

- ლუარსაბი და სამსონი
- ხატებს ღღესაც კი ჰკაცინისა;
- დიდი სტაჟი აქვთ მღვდლობისა,—
- ხუთმეტისა და ოცისა.

ანდა როგორ უნდა ნახოს, როცა სანდრო ეს შესამე დღეა  
ქობულეთის სადგურში ყოველთვის ხვდება მატარე-  
ბელს, რომელმაც ჩოხატაურიდან ამხანაგი უნდა ჩამო-  
უყვანოს.

გვიან გამოირკვა სინამდვილე. თურმე ასე უნდა ყფ-  
ვილიყო:

„ჩამოდი ორში მატარებელზე დაგვხვდები“.

სანდრო.

ეს „ორი“ აქ ნიშნავდა თვის რიცხვს. ფოსტის მო-  
ხელემ — ტელეგრაფისტმა სიტყვა „ორს“ წინ დაუმატა  
ასო, „გ“; და მიიღო „ორი“-ს მაგიერ „გორი“.

კიდევ კარგი, რომ მთლად შორს არ გადაკარგეს  
საწყალი კაცი.

## საკრებულო“

წარმოიდგინეთ: ორი ღვდელი, ერთი დიაკვანიკ  
სურათი გვარიანია, მაგრამ სილაშაზე და მშვენიერა  
აკლია. ვინ მიხვდებით, თუ რა აკლია?

— ფოფოლია!

„ლორეთ რომ ფოფოლია აკლიათ,—და კიდევ:

- სამებასა ერთარსებას
- აწ ამშვენიერს ნინო.
- ყველას ტკბილიაო შვერგება
- კარდანახის ღვინო“

ორი ღვდელი, ერთი ფოფოლია,—რაღაც ვერ არის.



ამის შემდეგ არავინ არ უნდა გაუყვირდეს, რომ ორ  
ღვდელს ერთი დიაკვანიკი მაინც ესაქიროება და ამიტო-  
მარი!

ღვეანი ნადიაკვანარი  
(აქვს მას ხუთი წლის სტაჟია),  
კვლავ ძველებურათ ქიღებში  
და ღვინის სმაში კაჟია.

კარგათ მოწყობილი და ამიტომ:

- ფოფოლიას გამოწახვა
- აქ არა ღირს ძვირი;
- ნინოს გვერდში ამოუსვეს
- ანო ოქროპირი...

ი სწორეთ აქ შეიძლება ითქვას შესწორებით ძვე  
ლი თქმულება: „უპატრონო სკოლას იშმაკები დაეპატ  
რონენო“.

„გემეოკატია“

ღვდელი ნიკოლოზ ოქრომქედლიშვილი, რომ სანაწაულმომქმედი იყოს, არ არის გასაკვირი, რადგან სოფელს ჰქვია: „გიორგი წმინდა“. ნიკოლოზი გლეხებს წამლობს (როგორც „ჯადო“ ამბობს); ძვლებით, პირუტყვის განავალით და ბალახებით. ბევრმა წაიღო საიქიოს წერილი ნიკოლოზის წამლობით.



მამაო ნიკოლოზ (თევის ყოფილ ავათყოფის): —ამიერიდან, მამა და შვილო, აღარაფერი აღარ ავტკივდება და ტკივილებს ვეღარ იგრძნობ; აი, ასეთი კი წამლობა ვიცი მე!

მისაბამი მასწავლებელი

სანამ ფრჩხილებს გავხსნიდეთ, ელაპარაკოთ იგზუთი, რომელიც კლდეეთის თემიდან (შორაპნის მახრია) შემდგეს გვატუობინებს:

ჩვენს თემში ზღემა ამბები საოცარ - გასაკვირები. შვიდწულის მასწავლებლები გვეყოლია თურმე „გმირები“) ცამეტ ნოემბერს ჩვენს თემში ვახშმით გავმართეთ სხაღამო. გვექონდა ლხინი და ზეიმი და დროს-ტარება სააშო.

რა ვახშამი თავდებოდა, მიდიოდა სახლში ხალხი, — თურმე საშა ხუსკივაძეს ბევრი ჰყავდა გასალახი. არ დანებდენ, დაუშინა ჯერ ქვები და მერმე დანა, თუმცა ჩვენმა ტარიელმა, ამით ვერ-რა გაიტანა.

აი ამ გმირობის გასამართლებლათ, ასეთი მიზეზი მოიყვანა მოჩხუბარმა:

რათ არ იცით—ავთ არის საკუთარი ჩემი ცოლი? და აქ უნდა გამოვწინაო თანაბარი მისი ტოლი.

მგონი აღმასკომში გამოფხიზლებულა... მაგრამ კიდევ უფრო კარგად გამოფხიზლდება. თუ სკოლას მოაშორებენ.

ქ სხვა რითმა უფრო კეთილხმოვანე იქნებოდა და მომქმედ პირთა დახასიათებასაც უფრო შეესაბამებოდა, მაგრამ აღარ ვაწუხებთ ყველას მიერ აბუჩად ავლებულ ცხოველს.

ტარტაროზი.

ქათამი—ჭრთამი

ერთხელ ლევარსი როზროხაძე ამტკიცებდა, რომ სიტყვა „ჭრთამი“ წარმოსდგება სიტყვიდან „ქათამი“, და ამარ შემდგენაირად ასაბუთებდა.

გლეხმა სასამართლოს მოსამსახურეს რაღაც პატარა ცნობის მიღებისათვის მიართვა „საპატივცემოთ“ ძღვენი —ქათამი. იმ გლეხის და სასამართლოს მოსამსახურის გვარები იწყებოდა ასოზე „რ“. (თუმცა გვარები სხვადასხვა ჰქონდათ). აი. ეს ასო „რ“ ჩასვეს სიტყვა „ქათამში“ პირველი ხმოვანი ასოს ალაგას, რის შემდეგაც „ქათამი“ — დან მივიღეთ „ჭრთამი“.

ჩვენ აქ ეს გამოკვლევა იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სავსებით ვეთანხმებით ლევარსის შეხედულებას.

ანდა, მოდი და ნუ დაეთანხმები იმ ამბის შემდეგ, რასაც სადგ. ხარაგოულიდან „უხიტყვო“ გვატუობინებსა მართალი არის მელაზე რომ უთქვამთ: „მელა ქათმის მტერიაო“.

კარგი გემოვნება ჰქონებია მელას. მაგრამ აღაშინან განა მელაზე ნაკლებათ უყვარს ქათამი? ავიღოთ თუ გინდ მაგალითი: სალიანდაგო განყოფილების მეოთხე უბანმა ხარაგოულ-ძირულის გადასარბენზე დანგრეულ საურდნობ კედლების აღსადგენათ მოავლინა უბნის უფროსი ქმისანი დავით კვინიკაძე, რომელსაც მელაზე მეტად გაუტკბა ქათმის ქაშა. დღეს თუ პლატონ ფერაფე, მიათრებს, ხვალ მელიტონ კიკნაძე და ზეგ — ვიკტორ საშხარაძე, და ასე სულ.



როცა დავითი მირთმევს, მისი „მატივისმცემლები“ უცქერიან და ნერწყვს ყლაპავენ.

სულელი იქნება, რომ დავითმა აღრე გაათავოს სხა მუშაო.

ამიტომაც ვაგრძელდა ასე.

„ძილის გუდა“

ამ გუდაში რომ ძილის მაგიერ წყალი იყოს, სოფლაგარის (რაჭის მახრა) გლეხობა უფრო კმაყოფილი იქნებოდა; აილებდა ამ წყალს და აღმასკომს გადაასხამდა თავზე, რომ იგი გაეღვიძებია. ამის შემდეგ გამოფხიზლებულ აღმასკომის თავმჯდომარეს ეგებ უურადღებდა მიუცქვია, რომ სოფელში საჭიროა წყალის გაყვანა.

ჩვენ იაი... რომ აღმასკომის თავმჯდომარეს გარგებ არ ვაპყავს წყალი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი გამოღვიძება.

რას ერჩით! ჰქვიანი და გამჭრიახი ჯაცი ყოფილა თავმჯდომარე.

ჩხარის სარაჩო



წრამის სარაჩო



ციხრის სარაჩო



# ცნობათა შიშვეთა

**ბარსების (ქ. ხონი) რა გენაღვლებათ** — ვალე-რიანის დედ-მამამ ილიდინოს თავის შვილზე:

თავს ქალები ეხვევიან,  
ხოვორც ტუტა-მტვერი.  
ფუღებსაც კი აპროცენტებს,—  
რას დააკლებს მტერი.  
ატუდენტია, ქულდი ჰხურავს  
(არის ინჟინერი);  
და კაკარდა ზედ შიურტყამს,  
აწ რას უწავს მტერი...

მტკარს აღარ ჰმართებს თავის შეწუხება, რადგან მის გასახარებლ საქმეს თითონ ჰჩადის ვალერიანი.

**მამახელას.** თუ ადაშიანს, რამდენადაც იგი ღრმით ხუცდება, კი აკლდება აზროვნების უნარი (როგორც ეს თქვენი წერილიდან ჩანს), — რა გასაკვირია, რომ ამდენი წლის მზეს მოხუცებულობის გამო სითბო მოაკლდეს? თუ ხეზეა სითბოს გამოიწვევს (და ამაში ჩვენ სავეებით გეთანხმებით), თქვენი წერილიც გამოიწვევს საკმაო სითბოს უფსკერო გოდორში სხვა წერილებზე ხევისაგან. შესაძლებელია, ამის შემდეგ მიემართოს „საკაცობრიუ პრობლემებს“ სიცხოველ; მანამდო კი — ძალიან ცივია.

**ჯანას.** (ასიანა): სამგლოვიარო განცხადებას. ცუდი ამინდების გამო ულაპი-ულუპით გარდაიცვალა გლმხკომი, მისი წითელი სასა-ბილო და მათ ზედ წააკვდა გიორგის და ხტეფანეს სამიკიტნო;

ქვეშ აწერთ:

თუ დაბეჭდავთ. — გაშიხარდება და საზოგადოებასაც არ ეწეინება, რადგან მართალია, თუ არ დაბეჭდავთ, რვა კაპიტანი მარკის ცოდვა თქვენზე იყოს.

არც თქვენი ცოდვა გვინდა, და არც ეს თქვენი წერილი. სამიკიტნოს დაკეტვა მგონი სხვებზე უფრო თქვენ გმწეინათ.

**პანას.** (აკანა. გურია). დედებს და დიაკნებს ტარტაროში აღარ ღებულობს ძღვენათ, რადგან მავათზე ფასდაცემული დღეს არაფერი არ არის.

მიუხედავად ამისა, თქვენი წერილის დამაწყისის მანც ვათავსებთ:

მოგიმღერ „სულის მამებო“  
ნევრონ და ბენიამინო.

ერთი იმანი: — აცხოვრონა...

მეორე: — ამინ... ამინო...:

წერილი უნდა დასწეროთ ცალ გვერდზე და გარკვეული ხელით. —

**მოზიას.** (ქიათურა): ის მასალა დაგვიანებით მიუიღეთ სპეციალურ ნომრისათვის და ამიტომ არ წავიდა.

**ვოლო მელბარძიძე.** (ორპირი) ვაჰხ! რა აშბავია აბდენი დედლები! რალას გვეკითვებით! ღორებს საახალწლოთ ასუქებენ.

**მართლის შთამშლს.** (ქუთაისი): მარტო სი-მართლის თქმა არ კმარა; თუ იგი კარგად და წასაკითხავათ დაწერილია არ არის, მაშინ დაჩუმება სჯობია.. მაგრამ ჩვენ ბინც ამოვიკითხეთ თქვენი წერილიდან შემოიღო ადგილი:

ლადო თათლოვს ჰგონია —

თავის მთელი ქარხანა;  
მის საკუთრებას შეადგენს  
ამ ქარხნის ბარგი-ბარხანა.  
ქალბზე ამბობს ღიმილით:  
— ეს ჩემი ოფოფებია;  
თვით აკეთებენ კოლოფებს  
ჩემ გულის კოლოფებია.

**ბანას.** (ნატანები) ბენდელიანი არ არის საყვედურის ღირსი;

თურმე კაცი კი უოფილა ჭკვიანი —  
ღვინო მასვა მან ნახევრათ წულიანი.

არა-წულიანი ღვინო რომ თქვენთვის დაუღვეინებთ, მაშინ თქვენ ხომ მთლათ „აღორენდით ოპოპებს“. ძალიან გაუმამლარი ყოფილხართ, თუ ერთ სამიკიტნოლან მოსულს;

შენ ბუფეტში გსურდა კამა სადილის.  
ცოტა პურის, ღვინისა და მწვანისი.

მზასვენეთ ღორები, საკმაოთ დაიწერა მითზე.

**შალიკო ტაბაქინაშვილს.** (ხესტაფონი): ზევ შეევასრულეთ თქვენი თხოვნის მეორე ნაწილი.

**რმლაპსინისაბან:** გ. ვეგიდეს და ს. კიკაჩიშვილს: თქვენი წერილი მიღებული იქნება მხედველობაში. სპასუხობ წერილი არ დაიბეჭდება. თუ ამით არ დაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთ.

# „ტარტაროზი“-ს

სამი წლის თავზე, რომელიც შესრულდა 16 ნოემბერს,

ლევარსი როზროზაქემ გამოაცხადა

## დიდი აზნისტია

რომლის თანახმად განთავისუფლებულია ყოველგვარ სასჯელისა და ჯარიმისაგან ყველა მოქალაქე, რომელთაც სხვადასხვა საგაბტიო თუ არა-საგაბტიო მიზეზების გამო, ვერ იწერდა სისტემატიურად თუ დრო-გამოშვებით

გაზ. „მუშა“-ს და ჟურნალ. „ტარტაროზს“

ეს აზნისტია უკრძალდაც მხოლოდ იმისათვის, რომელიც დაეპატიჟა გამოიწერა გაზ. „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზს“, რომ ამით მათ ეკაბტიონს ის დანაშაული, რას მიუძღვით „ტარტაროზი“-ს წინაშე მით, რომ ისინი გასულ თვეებში არ იწერდნენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთს.

ამსსთახავე ერთად ლევარსი როზროზაქის განკარგულებით ეველას მიეცემა

## დიდი უელავათი

ე. ი. ვინც ერთი თვით (დაეპატიჟისათვის) გამოიწერა გაზ. „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზს“- იგი მთელი 1927 წლის განმავლობაში, ე. ი. 1928 წლამდე ოთხ აგაზად მიიღებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთს.

ამგვარათ: ეოველმა შეგნებულმა მოქალაქემ განურსეველათ ეო-ველგარი კატეგორიისა

## ისარგებლათ უამთხვევით!

## გაურთხილება

სვენ მიერ უგაე მოცემულია. აწი თქვენსზე დამოკიდებული თქვენი კეთილდობა.

ხელის მომწერლებმა უნდა მიმართონ გაზ. „მუშა“-ს შთავარ კანტორას: ჯორჯიაშვილის ქ. № 6.


პროვინციაში- მთავარ კანტორის განყოფილებებს და ჩემუნებულებს



# ტრეტრეზი

## კლასრული

„მოთელი ჩეენი მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს უღმობელი, სისტემატიური ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ... სასტიკი პასუხისმგებლობა უნდა მიეცეს გაუსწორებელი ბოლშევიკების“  
 (ამხ. ოჯგონიკიძის სიტყვიდან მე-15 პარტყრილდა ბაზე).



მართი ბიუროკრატი (მჭორეს): ნუ ხარ მადეოი ვულუბრუვილოი ყოველთვის გაიბაზღენ, მაგრამ რა ლაგვაკლეს?!  
 მცორმა—არა, ჩემო კარგო—ტუშილი იმედი გაქვს საქმე ზაგებულია!

# მეტა რუსთაველი და გუგუნიძე\*

ეს წერილი დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ არავისათვის არ გამოგზავნია დასაბეჭდად და გამოსაქვეყნებლად.

წერილი დაწერილია გამსახლში, სადაც ამჟამათაც ვიმყოფები.

პროფესია ჩემი არის—მოლარეობა, ხელობა —გაფლანგვა, რაზეც თავი აქ ამომყოფინა.

ღიას, ეს წერილი დიდი ხანია დაწერილი მქონდა. ალბად ჯერ კიდევ დიდხანს არ ელირსებოდა გამოქვეყნება, რომ კვირას მეგობარს ჩემთვის არ მოეტანა ძღვენთან ერთად „ქართული მწერლობა“, № 10.

ამ ნომერში მე წაიკითხე კ. კაბანელის წერილი: „ბაირონი და ოქტომბრის რევოლუცია“.

პატივცემულ ავტორს ძალიან უკვირს, რომ ბაირონის მიერ ასი წლის წინეთ თქმული, ესლა ასოულდა.

რა თქმა უნდა, ასოულნი წადიე გვარაიანი დიდი დროა,—მაგრამ ერთ საუკუნეს მაინც არ აღემატება, რაგინდ გრძელი წელიწადებისაგან შესდგებოდეს იგი.

მე უფრო ზორბა რამ აღმოვაჩინე.

რვა საუკუნის წინეთ (დაახლოებით რვაასი წელიწადი) შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ იწინასწარმეტყველა და დაახასიათა თანამედროვე გაფლანგვა.

ბევრ გულუბრყვილოს ჩემი გამოკვლევა ღისაცოლოდაც არ ეყოფა, მაგრამ, თუ კაი ბიჭია, დაარღვიოს ჩემი დებულებები.

დღეს რომ დაწესებულებებს მოლარეები ჰყავთ, ისეთი მოლარე თინათისაღჲ ჰყოლია, რაცა სჩანს რუსთაველის სიტყვებიდან:

მოლარე იხმო, უბრძანა...

(გვერდი 24. გამოცემა 1899 წ.)—

მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწაღა ფერ-ნამკრთალიო“ (იქვე, იმავე გვერდზე)

მაშასადამე: ჩვენსთანა მოლარეები მაშინაც ყოფილან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაფლანგვა მაშინაც იქნებოდა (მა, როგორ შეიძლება—მოლაზე იყოს და გაფლანგვა კი არ ხდებოდეს?!).

წინასიტყვაობის ერთ ალგას, რუსთაველი შემდეგს ამბობს:

მიჯნურსა თვალათ სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,

სიბრძნე, სიმღირე, სიწმინდე, სიყმე და მოცალობა...

კარგად დაუკვირდით ამ სიტყვებს და მეტად ერთა ზოგანს: „სიუხვე“.

სიყვარულის ეს ელემენტარული მოთხოვნები რომ შეყვარებულმა შესარულოს, აუცილებლათ საჭიროა ფული, ფული, და კიდევ ფული.

ექთქვათ: კაცი გამიჯნურებულია—ქალი უყვარს. კაცი მანცინდამანც ვერ არის თვალსაჩინო, წამოსადეკი ბიროვნება. მის გულში რომ იწოდეს ქალის სიყვარულით. ეს საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ქალი დაიხელოთს და სიყვარული აუჩხანს. მაგრამ ამას როგორ იზამს, როცა ტანზე და ფეხზე ხეობიანათ არ აცვია. საჭიროა კოვერკოტის კოსტუმი, ლაკის ტუფლები, ცილინდრი და სხვა ასეთები. („მიჯნურსა თვალათ სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“). როცა ასე მშვენიერათ გამოწყობილი მზესავით წარსდგება ქალის წინაშე, ეს უკანასკნელი მას ყურადღებას მიაქცევს, მოიხიბლება და... საქმე გაიბარება.

არ კმარა მარტო გაცნობა.

საჭიროა პატივისცემა.

შეყვარებული უნდა დაპატიოსნად შეყვარებულში, თეატრებში და სხვა ასეთ გასართობ ადგილებში. არ უნდა სასურველი მისთვის ფული (და ისიც სახაზინო). როცა შეყვარებულს ათასნაირათ აჩვენებ თავს, იგი აუცილებლათ შეგიყვარებს („...სიმღირე, სიუხვე“...):

და, თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ შეიღობით სიყვარული. შენი პატიოსნება შენს შეყვარებულს არ ესაჭიროება. არც არაფერში გამოადგება,— მას ფული უნდა, ფული, და კიდევ ფული.

ღიას, რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს რუსთაველის შემდეგი სიტყვები:

ვისცა ეს სრულათ არა სჭრის, აკლია მიჯნურთ ზნეობა... არა მარტო მშვენიერი ქალი გაიტაცებს ადამიანის გულს, არამედ უშნოც.

ხშირია შემთხვევა სამსახურში, როცა გამგე ეტრფის მშვენიერ მემანქანეს, მაგრამ, ამავე დროს დამლაგებელ ქალსაც არ სტოვებს თავისი ყურადღების გარეშე და საშხახუროდან დათხოვნის მიუქარის ქვეშ, მასთანაც იქერა ინტიმიურ კავშირს.

ამგვარათ, გამგე ცხოვრებაში ატარებს რუსთაველის სიტყვებს:

ვარდა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების..

აქ ვარდათ და დიდათ იგულისხმება მშვენიერი მემანქანე; ნეხვთა და წვრილათ კი— დამლაგებელი ქალი, რომელიც ნეხს და ნავაგს ცოცხით ასუფთავებს; რასაკვირველია, მზეთ ნავულისხმევია გამგე, რომელსაც წყალობა ორთავესათვის არ ეშურდება.

ფულის დაზოგვა რომ საჭირო არის, ეს სჩანს აქედან:

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაეფინების..

ესე იგი, რასაც წაიღებ სალაროდან (ზღვა) იგი ისევე უხანვე დაბრუნდება. ფული მუდამ ტრიალებს და აქ ტრიალის დროს შეგიძლია დრო ინელთო და მოიხმარო იგი (ფული).

კიდევ ერთი (საბუთი იმისა, რომ საჭირო არ არის ლიტონი სიტყვებით სიყვარულის ახსნა, არც თავის მოსაწყვება შეყვარებულის წინაშე, რომ მან შეგიბრალოს).

ზნელით ბნელა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარულს უჩვენო საქმენი საგმირონია...

აქ გაუგებარი არაფერი არ არის. ყველაფერი აშკარათ თქმულია. „საქმენი საგმირონი“—ეს ნიშნავს შეყვარებულისათვის სახაზინო ფულების არდაშურებას, დაუზოგვლობას.

ადამიანის გული კი არა, დრო და ჟამი ცვალებადი. ერთიდა იგივე მდგომარეობა ვის არ მოსწყინდება? ცვალებადობა—ეს ბუნებრივი მოვლენაა.

აი, ამის შესახებ მშვენიერათ თქმული აქვს ჩვენს რუსთაველს:

რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკნარხსა,— იგი წავა და ხხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

რას ამბობს ამ სიტყვებით პოეტი? იი რას:

მაგ, ავიღოთ იგივე გამგე. მას მოგებრდა, თავისი კანონიერი, ლეგალური (და აგრეთვე უკანონო და არალეგალური) ცოლშვილი და გაეყარა. (რა უყოთ მერმე, რომ აღიშნებდეს ინდის! სახაზინო ფულებმა იკითხოს, თორემ მას რა?!). ცოლს ცუდათ ეპყრობოდა, რომ აქედლებია გაყარა. ამიტომ გახმა, ჩამოქცა მისი უწინდელი ყვავილი— ცოლი. („...მისი ყვავილი გაახმოს, დაამკნაროს“).

როცა ცოლი წავიდა (ანუ როგორც თვითონ ხუმრობს— „ცოლი გაეთხოვე“!),—სხვა, მოვიდა.. („იგი წავა და სხვა მოვა“...).

რა თქმა უნდა, ახალ ცოლს (და ისიც ასეთს!) ისევე მოეპყრობა, როგორც უწინდელს.

\* მასლის განსილვის დროს, ერთერთ კონცერტში აღმოჩნდა ეს წერილი, რომელსაც, თანახმათ ავტორის თხოვნისა, გამსახტო უცვლელათ.

# ი ბ ა ვ - ა რ ა კ ი



„ისტორიის დიდი ქარავანი წაჩსულის უღაბნიდან გამოცა. ადამიანთა სოლოდარობითა და შრომით ვალამაზებელი იზიხი დაბ-დაცებს ქარავანს“...  
 ი. კაპანელი. ქართ. მწერლობა № 10. გვ. 92

**ბაირკონი:**— გმადლობ, კონსტანტინე, გახსენებისათვის, მაგრამ, თუ პატივს მცემდით,— მე მერჩინა ავტო-  
 თი გაქროლება ცაბლაუჭების ასფალტოვან ქუჩებზე, ვდარე ურუ უღაბნიში კუზიან ქარავანით ხოხვა... ეს ხომ  
 ჩემი დროის აზბავია!

სმა-ჭამა დიდათ შესარგი, დება რა სავარგულია,  
 რასაც ვასცემ შენია, რაც არა— დაკარგულია.  
 ჯერ სიტყვა-სიტყვით გავარჩიოთ ეს წინადადება, —  
 შემდეგ კი მცირეოდენი შესწორება შევიტანოთ.  
 პირველ სტრიქონის შესახებ დროს დაკარგვა არ  
 ღირს, რადგან „სმა-ჭამა“, რომ „დიდათ შესარგია“  
 ეს ყველამ მშვენიერადად ვიცით.  
 ჩვენ გვინტერესებს მეორე სტრიქონი. ერთხელ კი-  
 ლევ გადავიკითხოთ:  
 რასაცა შესჭამ შენია, რაც არა დაკარგულია.— ამით  
 აქ არი აზრი არ შეიძლება,  
 ვისაც პატივს სცემ, (ესე იგი სახაზინო ფულით და-  
 ხმარები), ის შეგრჩება. მოსალოდნელია: დღემანდელ  
 მის მდგომარეობაში, შემდეგში შენ ჩაეარდე, თუ შენ-  
 სავით „პატიოსანი“ და „თანაგრძნობი“ იქნება; მაშინ  
 იგი დაგეხმარება შენ, თუ შენგან არაფერი პატივისცემა  
 ახსოვს, მაშინ მისგან ნურაფერს ნუ ელი.  
 აფგვარათ. გამოდის: რასაც ვასცემ, იგი არ დაგეკარ-  
 გება; ხოლო რასაც არ ვასცემ, ის დაკარგულია. ამიტომ.

არ უნდა დამშუროთ გასაცემათ ფული (რა თქმა  
 უნდა—არასაკუთარი).  
 თუ ჩვენ მცირეოდენ შესწორებას შევიტანთ ამ სტრი-  
 ქონში და ვიტყვით ასე, როგორც დღეს ეს ხმარებაშია:  
 რასაც შესჭამ შენია, რაც არა დაკარგულია,— ამით  
 ამოწურული იქნება ამ სტრიქონების მთელი გაგება და  
 ჩვენ შეგვეძლება გადავიდეთ შემდეგზე:  
 ვა, სოფელი რაშიგან ხარ; რას გვაბრუნებ რა წაყ  
 გვირსა?  
 როგორც ზემოთ უკვე გვაქვს თქმული, ცხოვრება  
 ცვალებადია.  
 ამ ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, ისეთი ზნე სჭირს, რომ  
 მუშგლებინმა ხშირათ იცის სალაროების დათვალეფრება,  
 რომ ფული არ აკლდეს. (არ აკლდეს მოლარეებს კი არა,  
 არამედ სალაროს არ აკლდეს!).  
 სწორეთ მან მიაბრუნ-მოაბრუნა და...  
 ნახს ბევრი მოქმეები ჯდენ მტირალნი ციხის ძირსა...  
 ისელი.

# ქუთაისის სკოლებში



მასწავლებელი (თავისთვის): — ხომ არ გაუყინავს იგივე ოჯახდასაქცივი დარაჯვი, რომ ამდენი ხანია ზარს არ რეკს?! ნაღდათ დავაყინდი ამ კათედრას.

## „მუშაკოპის ნისია“

— ჯამაგირი, რომელსაც მე ვბღებ, განისაზღვრება...

ერთი სიტყვით, საკმაო რაოდენობით ვიღებ! არა უშავს—მტერ-მოყვარეს პასუხს ვაძლევ!—ასე ეუბნებოდა ოლიფანტე სოფლიდან ჩამოსულ სიმაშრს.

— რა გიჭირდა, ბიჭო, ერთი საჩიხე გეყიდა! — უსაყვედურა ბაბუამ ოლიფანტეს.

— გიყიდი, ბაბუაჩემო, შენც გიყიდი და ბებუასაც. ცოტა სული მოვიტყევა. აგერ, მუშაკოპი ნისიას გვაძლევს და ყველას გიყიდი.

მართლაც, რა უნდა ექნა ოლიფანტეს! ჯამაგირი ჰქონდა მხოლოდ რვა თუშანი და სარჩენიც — რვა სული. თითოს თითო თუშანი უწევდა თვეში და ხომ იცით!..

ოლიფანტემ ვერ შესძლო შინაურების დამოსვლა. ამას არც მე და მით უმეტეს არც თქვენ არ გაუმტყუნებთ.

— ღმერთო შენით, აგერ ნისიას მომცემს მუშაკოპი და მაშინ მე შეიკოხეთ თქვენი პატრვისსკემა. — აიძვებდა ყველას ოლიფანტე.

— მართლაც, მუშაკოპი, როგორც ეტყობოდა, ემზადებოდა ნისიის გასაცემათ.

— „კრედიტი მუშებს“! „ნისია მოსამსახურებს!“ — აბა კრედიტი მოდის! — ყოველდღე ეწერა დიდრონი სოფებით ადგილობრივ გაზეთებში.

ქვეყანა შეშფოთდა. მთელი მთლიანად ხალხი ემზადებოდა.

— კრედიტი უნდა ავიღო! — ფიქრობდა რომელიმე მემანქანე, ან მემუხრუპე და შიტკლის ზომას იღებდა ოჯახის წევრებიდან.

ნისიას იძლევიან, ერთი კარვით შევიდნენ! — შიარტულათ ჰიკვიკობდა რომელიმე ექსპანიტორი

დრო მიდიოდა. ოლიფანტეს მოთმინება ეკარგებოდა. ბაბუა თანდათანობით შობუტდა: დიდდაც არ იყო საამ-

ქვეყნო, მაგრამ ორივე მუშაკოპის კრედიტის იმედი ებღაუტებოდა ცხოვრებას და არ ფიქრობდა იმ ქვეყნად გამგზავრებას.

— ნუ გეშინიათ მოხუცებო! სულ მალე მივიღებთ ნისიას! — ანუგეშებდა ყველას აღლევებული ოლიფანტე.

„კრედიტის გაცემა ახლო მომავალში დაიწყება!“.. „ემზადეთ ნისია საქონლის მისაღებათ“. „აბა ვის გინდათ ნისია საქონელი!“ — ყვიროდენ გაზეთები.

— რა ფულს აკეთებენ ეს ოხერი რეპორტიორები?! — საყვედურობდა ოლიფანტე. — ასი ათასჯერ დაწერეს მაგ შეჩვენებულ კრედიტის შესახებ, ჯიბეები გაიტენეს და კრედიტი მაინცა არ სჩანს!

გავიდა სასკმაოდ დიდი ხანი. ოლიფანტეს ბაბუამ იცადა, იცადა და ბოლოს გაემგზავრა საიქიოს; (ალბათ იქაურ კრედიტის მისაღებათ). ბებუამაც კარგა ხანს იცადა, მაგრამ ვერც იგი ელოდა კრედიტს.

— ნეტა როდის იქნება ნისია? — ეკითხებოდა ოლიფანტე მუშაკოპის ნოჭრებს.

— არ ვიცით, ამბობენ მალეო! — უპასუხებდნენ მას.

„სულ ახლო მომავალში მუშაკოპი შეუდგება საქონლის ნისიად გაცემას“. გეგმის შედგენა თითქმის დაწყებულია. განზრახულია თათბირის მოწვევა, რომელზედაც პრინციპიალურად გადაწყდება ნისიის საკითხი“.

ასეთი რამ ამოიკითხა გაზეთში ოლიფანტემ.


— არა, მაგ თათბირამდე ვეღარ შოვიცდი, მტეტი მოკთმინება აღარ ამქუს!.. — ჩაიჩიფჩიფა ოლიფანტეს მამიდან, რომელიც ღრმად მოხუცდა ნისიის მოლოდინში. ჩაიჩიფჩიფა და ლოგინში ჩაწვა. აღარც ამდგარა

გავიდა კიდევ საგრძნობი დრო. თვით ოლიფანტეც ასე წარმოიდგინეთ, შეჭალაოავდა. (სომ იცით, დრო კარს აბერებს!) მით უმეტეს, თუ ეს დრო მოლოდინში მიდის.

# სოცხალი ჩირხათ დავასდა, ერთ სუარლინგათ კი—გავდაჩინა

„ინგლისის მთავრობა პარლამენტს სთხოვს 3.000.000 გირგ. სტერლინგს ჩინეთში ინგლისის ჯარების შესანახათ.“

(დებეშებიდან).



ჩამბარლმენი (ინგლისელ ჯარის-კაცს):— მკვდარში უფრო ნუბ ვიდღევი, ვიდრე ცოცხალში: თითოეულ ვკამში ერთი გირგ. სტერლინგი!

„მუშკოპთან განზრახული თათბირი, რომელსაც უნდა განეხილა ნისიის საკითხი, — გადაიდო. მის მაგივრად განზრახული საგანგებო პლენუმის მოწვევა, რომლის შემდეგ შეუდგებიან წინსწარ სამზადის ნისიის გაცემის გეგმის შესადგენათ.“

ასე გულსაკლავი მოტივით იყო სავსე გაზეთის საინფორმაციო წერილი.

- ოლიფანტემ გაჯავრებით დაქმუნა გაზეთი.
- შენ მაინც კი მოგერევი...
- კიდეე გავიდა დრო. ოლიფანტეს წვერი გაუთეთრდა და შრომის უნარი დაეკარგა.

„ნისიის გაცემა გადაწყდა. უახლოეს მომავალში გაცემაც დაიწყება.“

კიდეე დასწერეს რეპორტიორებმა.

— შეგაჩვენოს გამაინმა! თქვენი წერით და მაგ ნისიის ლოდინით აპენდიციტი დამეპართა! — მოსთქვამდა ოლიფანტე.

ბოლოს... ანუ გაგიკვირდებათ და... მართლაც დაიწყო ნისიის გაცემა. გაზეთები სავსე იყო ათასგვარი ცნობებით:

„ნისია დაიწყო!“ საუბარი მუშკოპის თავმჯდომარესთან!“ „ინტერვიუ თავმჯდომარის მოადგილესთან!“ „რას ამბობს მთავარი ბუშლაღტერი!“ „ნოქართა ანკეტა“. მაღაზიის გამგეთა აზრი! „საერთო შთაბეჭდილებები“. ბნტერვიუ მომხმარებლებთან!“

ასეთი და კიდეე მეტრ სწნსაციურობით იწყებოდა თვითველი ამბავი. ოლიფანტე გამოკოცხლდა, წელში გამართა. თმა და წვერი შეიკრიჭა და ნისიის გამოსატანად მოეხმალა.

ოლიფანტეს მიეცა 80 მანეთის ნისიის გამოტანს უფლება. იგი მთელი ამალით გაემგზავრა მუშკოპში: მას ახლდა ცოლი, შვილები, შვილიშვილები, რძლები, მძახლები და მათი ნათესაეები. ზოგი დაინტერესებული იყო ნისიით, ზოგიც ისე, სერიის საყურებლათ მიდიოდა.

მუშკოპში აუარებელი ხალხი იყო, მაგრამ ოლიფანტემ მაინც მიაღწია დახლამდე.

- გადმომიწყვეთ ოცდაათი მეტრი მეტრალი!
- მაგდენს ვერ მოგცემთ, სამი მეტრია ნორმა.
- ჰმ! მომეციეთ. ოცი მეტრით ფანელი.
- ფანელი არ გვაქვს.
- ჰმმ! მაშ ხუთმეტრი მეტრი შალი იყოს!
- შალი რვა მეტრზე მეტი არ შეიძლება.
- ჰმმმ! მომიჭერით.
- სხვას რას ინებებთ? საინი, კიჭა, სამოვარი, ფინჯანი, ტბილუღუღობა. ვაშლი, თბილი, ქაბი; ვაზები...
- არ მინდა მშაო, მეტრია მომეცი!
- მეტრიის ნორმა უკვე მიიღეთ. ახლა ჰურკულუღუღობა უნდა წაიღოთ.

ორიოდე საათის შემდეგ ოლიფანტე და მისი ახლა დიდი ამბით ბრუნდებიან სახლში.

— რა კარგი ქნა საწყალმა ბაბუამ და ბებია მ რომ თავის დროზე გაემგზავრენ საიქიოს, ამდენი ხანი რომ მართლა მოეცადათ, რომ შეერცხებოდით ქაცი... ამ ჭურჭლუღობას სომ ვერ ჩავაძმევი და ფართალზე ნამეტანი ხელმოჭერილი ყავილა ეს ჩვენი მუშკოპი... პირდაპირ სირცხვილიდან გამომიყვანეს იმ ცხოვნებულებმა. ამბობდა ოლიფანტე და თან ხუნეშოდა ნისიად გამოტანილ სამოვარით და ქვაბებით დატვირთული.

აღლარ-აღლარსან.

# თვილის სტუბარი

## იმიერული სენა

— ბიჭო სიკოა, მოდი აქეთ ერთი; თბილისის ამბები ვითხრა ისეთი, რომ შეგზალო კვიციანი.

— იმე, მართლა, შენ ახლა თბილისში იყავი; ერთი, ბოშო, რა ნახე იქინე მოგვიყევი..

— კი შე კაცო... მე აქედან წვევდი გონა მაშინ გიორგობისთვე იყო. წვევდი, ბოშო; ჩავეჯექი პოვევში, მარა ის რა პოვევია—შვილ საათში თბილისში გამადენია ვლუჯა. ხო-და შევიდი ხაათის მგზავრობაში 4 მანეთი უნდა გადენხადო. აი ენაცვალე იმას—ის იყო პოვევი! რომ ჩაჯდებოდი შით, თუ უტოლო იყავი, თბილისში ცოლ-წვილიანი ჩახვიდოდი, და თუ პეტერა წერა-კითხვა იცოდი, ბოშო, პოვეტი გახდებოდი. ახლა რაც პოვეტებია, ისინი, ყმაწვილო, სულ მაქსიმ-გორკის პოეტებია.

ხო-და ჩვევდი თბილისში. გააქ ახტომობილებს გრიალი, მარა იმაში რა-ვა ჩავეჯდები,—თურმე ყოველ დღე ხუთ ექვს კაცს ამტვრევს ის ახტონობილია თუ რაცხა. ჩოუჯექი ერთ გლახა მეფაილანეს, რომელსაც ცალგვერდზე, ბოშო, ინგლისური ჯორი ება. აი ბენა რავე გოუხედეს რომ ფაიტონში შეაბეს! ვინ იცის ერთ დროს (ინგლისელი სელოს დროს) რომელიმე ჩვენ რკინის-გზის სადგურში ება. მაშინ ხომ სადგურები თავლებად გადაგვიქციეს, ყმაწვილო, და ჯორის ნებვით აგვივსეს აჭოურობა.

წვევდი ერთი ვისადილეფ-თქვა, ფარჩიე, ბოშო. სასადილოები და ბოლოას ჩვევდი „სიცოცხლეში“. აი ეს არის ჩემი საქმე-თქვა; აბა სიკვილილი რა ჯანდაბათ მინდა-მეთქი. იმე, კაი დეგემართოს, კაი პატვი იქინე მე მცეს—რაც მევითხოვე, ყველაფერი მაშიტანეს. მარა ბოლოას კი ვეღარ ვამევედი იმათი მადრიელი, როცა 3 მანეთი ვამომართეთეს; ერთი სადილი და 3 მანეთი! იგი სიცოცხლე კი არა, სიკვილილი და ამოვდება ყოფილა!

ამევედი ზეით, იცოცხლე ნაცნობები ბევრი ვნახე. თუ აქანე იძახიან, რომეო—ჩემი შვილი უმალესეშაო, უმალესის რა მოგახსენო და უმდაბლესში (მადვალში საქეფოთ) კი ბევრი ვნახე აჭოური სდოდენტობა.

ჰო, კიდე, მე ვლესს სახლი ვნახე. აი ვლესი ის ყოფილა და კნიახიცი, ვინცას იმისთანა სახლი აქეს. ჩვენში ყრასე ოდა აქეს, მდიდარს იმას ეძახიან; იქნე კი ვლესებს სასახლეებო ჰქონდა.

ენა

მკუბნძი.



— რა დაგემართა, კაცო,—ხმას რომ არ მცემ და ასე ვარბიხარ?!  
— (მიისწრაფვის საფურთხისაკენ):—მეგნმმ...

# ბ რ ა ნ ს უ ტ რ მ ა ტ ი ა

განცხადებისათვის რედაქციაში მიიღეს:

## марской ястреб

მთარგმნელი შეუღდა ამ განცხადების თარგმნას...

რატომღაც მას თავში, მაშინვე შეუფრინდა „არწივი“.

— ფრინველთა მეფეა! აუცილებლათ არწივი უნდა! — გაიფიქრა მან და სთარგმნა:

## ზ ლ ვ ი ს ა რ წ ი ვ ი

კინო-სურათი ო.რ. სერიათ

კინო-თეატრის ადმინისტრაციამ სხვა გაზეთსაც გაუგზავნა განცხადება:

მთარგმნელმა სთარგმნა:

## ზ ლ ვ ი ს კ ო რ ი

კინო-სურათი (უნდა იყოს სურათი) ო.რ. სერიათ.

მეორე დღეს თეატრის ადმინისტრაციამ აცნობა რედაქციას — განცხადება კიდევ გაეშვა, სოლო სთხოვა შეცდომა გაესწორებია.

— რა შეცდომა უნდა იყოს ამ ოსრობაში?! — უკვირდა ასოთ-ამწყობა რედაქციის მდივნის საყვედური. — „ზღვის ჯორი“... სწორათ სწერილა.. მაგრამ..

ზღვის ჯორი რა სათაურია?! აღბად უნდა იყოს:

„ზღვის ჯორი“... აუცილებლათ ასე იქნება! — და ასოთ-ამწყობს მოაგონდა შავი ზღვის ნაპირები, საიდანაც ზღვაში ხედავდა ზღვის ლორს! — შეცდომა... აუცილებლათ უნდა იყოს „ზღვის ჯორი“... ქორი-ლორი... აქ კორექტურული შეცდომაა: „ქორი“ს მაგიერ უნდა იყოს „ლორი“... ქორი-ლორი! — დაარწმუნა თავისი-თავი ასოთ-ამწყობმა და შეუღდა განცხადების აწყობას.

## ზ ლ ვ ი ს ლ ო რ ი

კინო-სურათი ო.რ. სერიათ

შეითხველებმა ვერაფერი გაიგეს გაზეთებში მოთავსებულ განცხადებებშიდან; ერთმანეთში აერივნენ ზღვის: არწივი, ქორი და ლორი.

— ისევე სჯობია თეატრში წავიდე და იქ ვაგოვებ სურათის ნამდიელ სახელწოდებას!

ჯერ კიდევ შორიდან მოსხანდა ელექტრონის შუქზე კედელზე დაკიდული (უკაცრავათ თქმა არის) ეკრანის ოდენა ასოებით ასეთი განცხადება:

## ზ ლ ვ ი ს მი მი ნ ო

კინო-სურათი ო.რ. სერიათ

როცა სურათი ნახეს, არც ერთი სათაური არ შეეფერებოდა სურათის შინაარსს

ენა

# ქ უ თ ა ი ს ი ს თ ე ა ტ რ უ ი



მ.ქალაქში: (მსახიობს, რომელიც სანახევროთ ტიტველი თამაშობს სცენაზე):— შენ იკითხე ბიძია, რომ იყინები მანდ, თორემ მე ქე ვარ ნაბაღში გამოხვეული!

## „ რ ი ა რ ი ა ”

დღეს კრიკაშია ოპოზიცია...  
 რასა ჰყვირიან თვით არ იციან.  
 არ დაანებეს გათხრა გვირაბის;  
 (მადლი მათზედა იყოს ვირაპის!).  
 რათ უნდათ თურმე მაგათ გლენები;  
 მაგრამ უნდა ვთქვა:—ტროცკის ფეხები  
 შენშევიზმისკენ მიიმათება.  
 იმას მიყვება ჩვენი „უკლონიც“  
 რომ პარტიიდან „გამოაბრძანოს“, —  
 ნუ დარჩებიან გულნაკლულონი  
 გამოცეცალოთ საუბარი...  
 ამოვარდა გუშინ ქარი...  
 მოიარა მთელი დაბა  
 აუწია ქალებს კაბა,  
 და ფეხები ოქროს სვეტად  
 მოსწანს სულის ასატყად.  
 (აბა ამ ქარს ცოტა აცათ);  
 რაღაც თავში მილიტინებს,  
 რომ ვუყურებ ამ ტიკონებს.  
 მილიციას შევეუკრობე;  
 რომ ვერსად ვერ გავაფურობე;  
 დაუდგიათ აქ ყუთები.  
 (ვა, სიცილით ვიხუთები).  
 რომ ვუყურებ ამ ტრაპევის,  
 იძახიან ვაი-ვაი:  
 აგერ ვილაც ეშმაკ-ქაჯი,  
 ერთ ქალიშვილს თავზე აჯის  
 ჩეტა შომცა მე შაური,  
 რომ ცხლავე განვიცადო.  
 ყოფნა ტკბილი იქაური.  
 აგერ მოდის ქალი ქვია,  
 ან იციემ ამამლეოა,

თმა ყალყზე დგას ღერი-ღერად  
 ნეტა იქცეს შეშის ღერად,—  
 ფეჩი ერთხელ გავაცხლო,  
 ვაი ფეხო, ვაი ხელო!  
 (ორიგ ძირში წამეყინა).  
 აგერ ვილაც კაცი ღრინავს,  
 ვფიქრობ, ცივა საწყალს ალბათ  
 (ტანჯვისაგან გული დაღბა).  
 თურმე არის ხულოვანი.  
 მითხრა: „სიგრძეთ მოგცე განი?!  
 გამოებრუნდი უკან უცებ.  
 ამისთანა სიტუტუტეს  
 უპასუხო გინდა რითი?...  
 წამეყინა ცერის თითი.  
 ველარ ვიქერ ხელში კალამს,  
 სჩეებს მიუძღნი შეძდეგ სალამს.  
 ღმერთმა მოგცეს აქ კი თფილა  
 ეს რა ესმის ჩემსა ყურებს,  
 აგერ ბიჭი ვილაც გოგოს  
 ხელებს ურცხვად უფათურებს.  
 ეუბნება ბიჭს მიბნედი:  
 — „შენ გეკუთენის ჩემი ბედი.  
 (მომიხრიო შენთვის ქედი).  
 თუ გსურს ერთად მოვაშხადოთ  
 „საფრანგეთის ისტორია“.  
 იქ ვიქნებით ჩვენ ორია.  
 (ო, მე მჯერა ჩემი ტანი)  
 შენთვის უცხო სასწორი!).  
 ზომ გავიარო დღეში ფურცელს?  
 (ზომ იცი, რომ მერტე შოთმა  
 აგვაცვივებს ტენის და მუცელს).  
 მაგრამ სინდისი მეტირცხვებს.

ქონდარა.

# „ლოთობის წინააღმდეგ“

ერთ-ერთ დღეობაზე სიმთვრალის გამო, ჩვეულებების-მებრ მოხდა დიდი ჩხუბი და თავპირის მტერევა. ამის გამო შეიკრიბა მრელი სოფელი, რათა დაედგინათ, რომ ეს ყველასათვის მავნე ჩვეულება—სიმთვრალე სამუდამოთ გადაეგდოთ.

**თავმჯდომარე:** — ამხანაგებო! ვინაიდან ლოთობას მოსდევს ყოველთვის ჩხუბი, აურ-ზაური და თავპირის მტერევა, — ამიტომ, ამხ-ბო, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავაგდოთ და სამუდამოთ აღმოვეფხვრად ეს მავნე ჩვეულება—ლოთობა.

**კრება:** — მართალია, მართალია!..

**თავ-რე:** — მაშ, ამხანაგებო, მივიღოთ რეზოლიუცია, რომ ჩვენ დღეიდან სამუდამოთა ვსპობთ ლოთობას და მთელ სოფელში ეუკრძალებათ ეაქრებს მაგარი სასმელების გაყიდვას. აბა, ვინა ხართ ამ წინადადების მომხრე, ასწიეთ ხელი?

(თითს სწევს მხოლოდ იარი კაცი).

**მოქალაქენო!** რაშია საქმე! რატომ არა სწევთ თითებს?..

**პირველი:** — ეს ყველა კათა, მარა პატარა გაუგებრობაა, ამხანაგებო.

**თავ-რე:** — აბა, ბრძანეთ. ვისთვისაა გაუგებარი.

**მეორე:** — კი, ბატონო, გადავაგდოთ ეს ლოთობა, ვიცით რომ ეს მავნეებელია, მარა აი, მზრგალიტათ, მე ამ კვირეში ქალი მინდა მევიყვანო და რავე ვქნა ახლა! ქორწილი და უღვინობა, რაცხა. არ მოდის თავს! მერე ეს ქორწილი ყოველდღე ხომ არაა, რავე, კაცმა მისი სიყმაწვილე არ უნდა გაიხსენოს.

**კრება:** — მართალია, მართალი! ქორწილისთვის პატარა შეღავათი უნდა დავტოვოთ.

**თავ-რე:** — მართალია. ქორწილი პატარა მოვლენა არაა კაცის ცხოვრებაში.

**კრება:** — კი, ბატონო, კი! რავე, ქორწილს ხომ არ გადავაგდებთ?!

**თავ-რე:** — აბა, რა ვქნათ?

**კრება:** — რაცხა უნდა მოვახერხოთ რაცხა!..

**თავ-რე:** — მაშ კარგი, რეზოლიუცია ისევ ის ძველი მივიღოთ, მხოლოდ შენიშვნა შევიტანოთ, რომ აკრძალულია ღვინის სმა ყოველთვის, გარდა ქორწილისა. ვინაა ასეთ შესწორების მომხრე, ასწიეთ ხელი! (კიდევ ვერა ხწევს ხელებს და ყოყმანობენ). მოქალაქენო, რაშია საქმე? რატომ ხმას არ აძლევთ შესწორებას?!

**მესამე:** — პატარა გაუგებრობაა, ბატონო...!

**თავ-რე:** — სთქვი, რაშია საქმე?

**მესამე:** — ჩემი ეფროსინე, ჩემო ბატონო, დღეს თუ ხელ მოსარჩენია და რავეც აბუჩერკამ მითხრა, ნამდვილათ ბიჭი ეყოლებათ, ისტე ეტყობა რაცხა მუტელზეო. ყველა ყველაა, მარა ასეთი ამბავი, რავე შეიძლება ისტე ჩუმათ ჩატარდეს... რომე კაცმა არ დალიოქ!

**კრება:** — მართალია, მართალი!

**მეოთხე:** — აქანე უეკველათ უნდა დოუშვავთ გამონაკლისი.

**კრება:** — მართალია, მართალია!

**თავ-რე:** — მაშ ასე ჩავწეროთ: ქორწილსა და ვაჟის დაბადების გარდა ღვინის სმა ისპობა სრულიად..

**მეექვსე:** — შეითმინეთ, ბატონო, შეითმინეთ! ვაჟის დაბადებაო, რომ იძახით, რავე ქალი რომ დაიბადოს სულ ერთი არაა ვითამ! ახლა მაინც ქვე თანასწორობა. სინა რელი ვრათია: ვაჟი დაიბადება, თუ ქალი.

**თავ-რე:** — ეგ კია სწორი, რაც მართალია, მართალია, აბა, ასე ჩავწეროთ: ქორწილისა, ვაჟისა, და ქალის დაბადების გარდა, აკრძალულია ღვინის დაღევა ყოველთვის. ვინაა მომხრე ამ წინადადების, ასწიეთ ხელი. (სწევს უმცირესობა).

**თავ-რე:** — მოქალაქენო! ყვერით: მართალია, მართალია

ლორ და ხელის აწევაზე რომ მიდგება საქმე, — ყველანა უკან იხევით!

**კრება:** — გაუგებრობაა, ბატონო, გაუგებრობა! თავ-რე: — აბა, რა გაუგებრობაა, სთქვიოთ.

**ერთი:** — ახლა, მარგალიტათ: ხარი ვიყადე, ან ცხენი, რავე, ამისთანა სისხარულის დროს პატარა რომ ჩაყლაპოს კაცმა, ვითამ მინავათობა იქნება?!

**მეორე:** — ხარი-ხარია, მაგრამ ესტყვით ნაბადი იყიდა კაცმა...!

**მესამე:** — ანდა ჩოხა-ახალუხი შეიკერა...!

**ხვა:** — აგერ გრამიტონს ახალი წულა-მესტი შეუტკერავს. დევიჯერო ახლა ისტე წახდება, რომ მაკარიჩი არ დაგვალევიოს!..

**თავ-რე:** — მაშ, რავე ვქნათ, მოქალაქენო! ვადგენთ თუ არა? ვსპობთ თუ არა ლოთობას?

**კრება:** — კი, ბატონო, ვსპობთ რავე არა!..

**თავ-რე:** — მაშ ასე. (სწერს გამოწკილებს და კითხულობს): შეიძლება სმა მხოლოდ: ხარის ყიდვის დროს, ცხენის, ნაბდის, ჩოხა-ახალუხის, წულამესტის...!

**ხმები:** — ჩექმების...!

— შარვლის...!

— ქულის...!

ხეანჯრის... ჩაწერე, ბოში ხეანჯრის გამოწკილის...!

**თავ-რე:** — (სწერს და მერე კითხულობს): აბა, ასე იქნება რეზოლიუცია: აიკრძალოს ღვინის სმა სამუდამოთ, მხოლოდ ნება ეძლევათ ღვინის დაღევის მათ, ვინც შეა-



— საით მიღხარ ასე საცხე ჯიბით?  
 — „ნალ“ — ქურქი“-ში, — მინდა ერთი კარგად ვივახშმო... შენ საიდან მოღიხარ?  
 — ვერა ხედავ, რომ ჯიბე გამოცარიელებულთ მაქვს?! მაშასადამე: „ნალ ქურქი“-დან მოვდივარ.





**ჭუთაისელი მოქალაქე:**

ერთ „ტრუბა“-ს კი გადავურჩი—  
გამოვედი მშრალი,—  
აქ კი ვიცი ტანს დავიბან,  
ვთი ჩემი ბრალი.

ძენს ახლად: ცხენს, ხარს, ნაბადს, ჩიხა-ახალუხს; წულა-  
მესტს; ჩეჭმებს; შარვალს და ქუდს.

ერთი:—ბოშო, ხვანჯარი დაგვიწყდა, ხვანჯარი..

თავ-რე:— ამხანაგებო! ხვანჯარი უბრალო რაზე..

აბა ეგ რა ჩასაწერია!

ხვია:— იმე! უბრალო კი არა, აბრეშუმის შეიტანე,

აბრეშუმის.

თავ-რე:— კარგი ბატონო (შეაქვს). ესლა კი, მე

მგონია წინააღმდეგი აღარაფერ იქნებით, აბა, ასწიეთ ხე-  
ლი ვინც მომხრე ხართ. (სწევს ხელს რამოდენიმე, მხო-

ლოდ ყველა არა).

თავ-რე:— როგორ? კიდევ გაუგებრობაა!

მეთე:— კი, ბატონო, გაუგებრობა კი არის. ლოთო-  
ბა, ეს, რასაკვირველია, უნდა მოისპოს, მაჩა თეით ჩვენი

ძველ ჩვეულებას ვსობთ, თუ ზრია ყოველთვის რაიმეს  
ნომ არ კიდულობს კაცი. არის შემთხვევა, როცა მარტა-  
ლიტათ დიდ საქმეს დეიწყებ კაცი და ამიტომ, მე მგონია,

დიდი საქმის დაწყების დროს, რომ დალიოს კაცმა სამაკა-  
რიჩით, მინაეთობა არ უნდა იყოს.

ხაოხი:— მართალია, მართალია.

თავ-რე:— ჯანაბას თქვენი თავი! აბა, იყოს საქმის

დაწყების წინაე. ესლა ხომ ყველანი თანახმანი ხართ?

ერთი:— კი, ბატონო, ყველა, ყველა..

თავ-რე:— აბა; ასწიეთ ხელი, (ყველამ, როგორც

ერთმა კაცმა, ისე ასწიეს ხელი). აი, ყოჩად, ეს კარგად.

ასეა, თუ ისე ლოთობის საწინააღმდეგო რეზოლიუციას

სიცილეთ. ესლა კი, მე მგონია, დავიშალოთ.

ერთი:— რაიო?! რა დროს დაშლაა, ბატონო, რაფა

გეკადრება! (ყრილობას). ამხანაგებო! ჩვენ დიდი საქმე

დევიწყეთ. ლოთობასა ესობთ, ამხანაგებო, ეს ერთობ

დიდი საქმეა. ხომ კი დიდი საქმე, ამხანაგებო?

კრება:— დიდა, მართალია, მართალი!

ერთი:— თუ მართალია და აბა, რაფა შეიძლება,

რომე თანახმად ჩვენი ჩვეულებებსა, ასეთი დიდი საქმის

დასაწყისში არ დაელიოთ!

კრება:— მართალია, უნდა დაელიოთ, დაელიოთ!

მეხუთე:— იმე! დაელიოთ, დაელიოთ, მარა რითი

დაელიოთ! რაფა, დალევას ფულზე არ უნდა!

მეორე:— ამხანაგებო! ეს საქმე — ხომ კია საზოგადო

საქმე?

კრება:— მართალია, საზოგადოა, საზოგადო..

მეორე:— მაშ უნდა საზოგადო ფულით დაელიოთ.

აბა, მე წინადადება შემომაქვს, რომე ის ვაბოილადებული

ხის ეკლესია რომა გვაქვს გავყიდოთ და დასაღვეი ფუ-

ლები გვექნება.

კრება:— მართალია, სწორეა, ვაშა.. (ეს წინადადება

გოგია,

# „ჯანჯანა“

„მეგრ ადგილებში გამოჩნდნენ მგლები, რომლებიც ზიანს აყენებენ მეფოვეებს. მონადირეთა კავშირი მათ წინააღმდეგ გზავნის მონადირეებს“.

გაზეთებიდან.

დამზღვევ სალაროს უფროსი წაევიდა სანადიროთ.

ერთი კურდღელი გაუბტა, ესროლა და ვერ მოარტყა.

— ამ ოხერ კურდღლებს რა ძაან სცოდნიათ გაქცევა?!

ამასთანავე ერთი ბეწვა და როგორ უნდა მოარტყას კაცმა ოთდი! — ინუეგემბდა მონადირე თავს.

სამაგიეროდ წინ შეეჩება მგელი:

— ოჰ, გამარჯობა შენი ქოტავ; სად მიბრძანდები? შენ კი... აღარ აგაძლენ თოფს!

— რას მერჩი ჩემო ძმაო, რაჲ დამიშავებია რამე შენთვის?!

— როგორ არ დაგიშავებია! შენ იცი ეინა ვარ მე!

— ეიცო—მიუგო მგელმა — დამზღვევ სალაროს უფროსი ხარ!

— ჰო და შენ ამბობ არაფერი დამიშავებია შენთვისო!

— ჰო და აბა რა დამიშავებია, ერთი დაზღვეული ქათამიც არ შემიქამია.

— მაშ' ის რაიყო, რომ გუშინ სამი ათასი მანეთი გავეცი.

— არ დაიჯერო, ბატონო, სალაროს უფროსო, თითონა სჰამენ და სულ მე მამბრალეზენ.

— მაშ' კარგი, მოდი მოგრიადეთ ან მოგკლავ, მხოლოდ ერთის პირობით, დაზღვეულ საქონელს უნდა ფრიდო.

— ძალიან პატიოსანი — მიუგო მგელმა და მოჰკურცხლა ტყეებისკენ.

— ჰაი, მეგ ოხერბა, მავან, რალა ამ დაუზღვეველს წაავლო პირი — ჩიჲდნენ გლეხები.

ერთი დაზღვეულიც აღარ გადაურჩა შეუქმელი მგელს. გლეხებმა, რაკი გაიგეს, რომ მგელი მხოლოდ დაუზღვეველს ეტანებოდა, სუყველაფერი დააზღვეეს.

— არის რაიმე დაუზღვეველი? — იკითხა მოლარემ.

— აღარაფერი შენი ქორმე.

— მა რალათა სჩივით მგელმა შამაქამაო და ყოველდღე გაგაქვით აძღენი ფული — უთხრა მოლარემ.

— ი, შე გამჩნძალო, ე, დაზღვევა ხომ პირს ვერ შეუტრავს მგელსა. მსწორეთ იმითომ გაგვაქ ფული, რომ დაზღვეული გვყავს საქონელი, წიწიო ლც კი...!

მოლარე დაფიქრდა.

— მაშ' უნდა მოგვკლათ ის ვერანა!

— სთქვა ბოლოს მოლარემ.

ეინა შენი ქირიმე?

— ეინა და მგელი.

— მგელი? — ახლა გლეხი დაფიქრდა.

— ჰო, მგელი! — მიუგო მოლარემ.

— მაშ' თოფის ფულს გამოგვიწერე შენი ქირიმე.

— მაგის ფული ბანკმა უნდა მოგვცეთ.



**უპროსი მგელი:** — ხედავთ რა სწერია გაზეთში? მონადირეები ჩვენს წინააღმდეგ მოდიან! თქვენ კი დღეში თითო ცხვარს და ხმოს მიერთმევთ და მომარაგებაზე არ ფიქრობთ...  
**სხვები:** — არა უშავს რა! თუ ვინცომაა სურსათი შემოგველია, — თვით მონადირეებს მივყავთ ხელი.

გლეხი გამობრუნდა და თავისთვის წაიბურბურტა:

ერთის ფულს კი გამოვიტანა, მაგრამ მგელს რომელი გიყი მოჰკლავს, ხო დავიღუპეთ, ვილას დავაბრალოთ“.

— სად მიხვალ ქოტავ — დაუძახეს მგელს გლეხებმა.

— დამზღვევ სალაროში, — მიუგო მგელმა და გასწია ისევ.

— ვაიმე დავიღუპეთო. დავიძახეს გლეხებმა და გამოუდგენ. ვერ დავწიენენ და ატყდა ერთი მითქმა-მთქმა.

თავი მოიყარეს ყალბა მოწმებმა, პატრონებმა, მოსამართლეებმა და მსჯელობდნენ, თუ როგორ ექნებოდა საქმე.

— შენ არ მიტარ მიმოწმეო — მერე?

— მერე ისა, რო: ტყუილი რომ გამოჩნდება!

— ი, ხორც ხო გემრიელად შეგიცვოდის!

თუ ის ლბინა ვაყვავით, ეს ქირიც

უნდა ვაყიყოთ „მუაზე“... და იღვა. ერთი აურო-ზაფრი გლეხებისა.

მგელი ჩავიდა თბილისში. მივიდა დამზღვევ სალაროში.

— შენ! აქაც კი მოხვედი?! — დაუყვირა უფროსმა.

— მაშ' სად უნდა წავსულიყავ! ფული გამომიწერე.

— რაში?

— მაშ' მშიერი ხომ არ მოვეკვდები!

— მშიერი რათ მოჰკვდები, როდესაც გლეხებმა გუშინ ოთხი ათასი მანეთი წაიღეს შენგან შექმული საქონლის საფასურში!

— არა ძმაო, არა! ხომ ვაგვიგათ მგელს მგელი ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოგადიო.


— შენ ისე ამბობ, ხაიქო მგელი აიარ იყო.

— მგელი მე კი არა, მგლები ეხლა ისინი არიან, ვისაც ყოველდღე ფული გააქვს სალაროდან — მიუგო მგელმა.

ფეშანგი.

# ზოგი ჭირის მარგებლობა

„ტფილის-ბათუმის მატარებელი ისე ნელა მიდის, რომ მას ეწყვეა თბილისიდან გამოსული სხვა მატარებელი“.



— საღ მიხვალ, კაცო?! მატარებელი ხილია, დაოიები!  
 — არა უშავს; აგერ გაღვირბენ სასადილოში, ერთ-ორ ბოთლ ღვინოს დავლევ და მაგასაც დავეწევი ფეხლაფებს!

## სუნაგი და ქუნთაშუა

ინც წერა-კითხვა იცის, აიღოს ვახუთი და წაიკითხავს: „ბრძოლა ხუნაგისა და ქუნთაშუმის ეპიდემიასთან“... ეპიდემიასთან მებრძოლმა საფინგ-ბო სამეულმა დაადგინა... „აკრძალულია ბავშვებთან სეირნობა და კინოებში წაყვანა ორსული დედაკაცების“...

თავი გამოკედილი მქონდა ათასნაირი რეზოლიუციებით და ამას ზედ დაერთო რაღაც სამეულის სასწრაფო დადგენილებები. ვდიქტობდი: მორჩა, თბილისში ვეღარ შევხვდები ბავშვებს, ამოწყდებიან საწყლებითქო. ამ რამოდენიმე დღის წინათ გავიგე, რომ იწვევენ ბავშვების მშობლებს კრებაზე, სადაც ექიმი წაიკითხავს მოხსენებას ქუნთაშუმისა და ხუნაგის შესახებ. მართალია: არც ბავშვები მყავს და არც კოლი, მაგრამ კრებაზე მაინც პირველი მივედი და ოჯახის ერთგული მამასავით პირველი წამოვსკუდი და მახში. (მეყვარს ქალებში სერიოზულათ თავის დაქერა).

ექიმი:—(საბუკავს იწყებს ჩახველებით)—საერთოდ პროფილაქტიკა, როგორც წინასწარი ზომა, ჩვენში ვერა დგას თავის სიმალეზე. ქუნთაშუა და ხუნაგი ორივე გადამდები ავადმყოფობაა და არაა სასურველი, რომ ამით ვინმე ავად გახდეს. ძველ დროში ზოგჯერ ბავშვს ასე სწყევლიდა დედა: „შენ მოუეცებ შერ დედას და შერ გაგიჩივს ხუნაგიო“. აქედან სჩანს, თუ ჩვენს ხალხში რა მნიშვნელობას აძლევდა ძველთა ხუნაგთან ბრძოლის საქმეს. (ყვამს წყალზე).

პროფილაქტიკური ზომები ხშირათ დამოკიდებულია ზოგად პიგიურ გარემოცვაზე ორგანიზმის კონსტიტუცია ინერტიული არაა აქტუალურ. ნომბროზ ვივარისთან. აქ საქიროა დიკის რეაქცია და ვაქცინაცია შარკოს მეთოდებით. ტოქსინი და ანატოქსინი, ზოგჯერ გომბროზზემედაც მოქმედებენ და იწვევენ შინაგან სეკრეტის მოდიფიკაციას ფიზიკის ცენტრების დეტერტაციით და უნიფიკაციით. მე ვეთანხმები პროფესორ ტინგაუზენს და ურჩევ ყველას სცადონ თავიანთ ბავშვებზე დიკისაციის ჩატარება ვინაიდან მე ვეფიქრობ, რომ დიკის რეაქცია საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს ჯერ-ჯერობით.

მომილოცეთ: უცოლშვილო კაცი ვარ და იაქეთ დავდივარ. იცით რა ამბავია ებლა თბილისში? ბავშვები დაწყვედილი ყავთ მშობლებს სახლებში, გარეთ არ უშვებენ—ხუნაგი არ შეხვდეთო. ექიმებთან მოიმატეს ავთომყოფთა „კულდებმა“. აღმასკომმა გადასდო ექიმებს და საჯილდოებლათ ათასი მანეთი. უცრიან და უცრიან უღმერთოთ ყველას. ამის გამო, ბავშვებმა შესწყვიტეს ჩხუბი და კინკლაობა სკოლებში. აღარ გაუღასათე მასწავლებლებიც (მკლავები დაუსიდათ აკრისაგან).

ქალაქში პანიკაა. ექიმები გახარებული დადიან—შემოსაველმა იმატაო. შეკუბოვეები სტრიან—არაინკვებოაო.

ეპიდემია არის—ეპიდემია არაა. ვინ გამოაქონებს ამ ამოცანას რეპორტიორის მეტი?

ტო.



ძალი: — თქვენ ამდენი ფული შეგიქამიათ მუშაობის. და ჩემი ვალი მაინც მოგვეცათ!  
 უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ თქვენი ვალიც აუორეთ იმ ფულში შედიოდა.

— რა გაღრიალებს ასე გულშემზარავათ?  
 — სამსახურიდან გამომაგდეს და ეხლა ხმას ვისინჯავ— ეგებ ოპერაში გამოვდგე...  
 — ეს კი კარგია— ცარიელ დარბაზს მაინც გააუკრებ!

## კ ი თ ხ ვ ა - ვ ა ს უ ხ ი

კითხვა: როდის შეიძლება ქუჩაში ხმაურობა და სიმღერა?

პასუხი: როცა მილიციელს სძინავს და ვერაფერს ვერ ამჩნევს, რაც მის გარშემო ხდება.

კითხვა: როდის შეიძლება გაბუჩის უკანონო მოქმედების გასაჩივრება?

პასუხი: როცა გამგე მივლინებაშია და ახლო-მახლოა არ იმყოფება.

კითხვა: როდის შეიძლება კავშირის წევრი გახდეს კაცი?

პასუხი: როცა სამსახურში მოეწყო.

კითხვა: რა არის სავალდებულო იმისათვის, რომ კაცი სამსახურში მოეწყოს?

პასუხი: აუცილებლად კავშირის წევრი უნდა იყოს.

კითხვა: კარგად ვაიგეთ ჩემი შეკითხვა?

პასუხი: შეკითხვა კარგადაა გავიგე, შოლოდ პასუხი მეც არ მესმის.

კითხვა: როდის ჩაითვლება კაცი შტატში მყოფ. მოსამსახურედ?

პასუხი: როცა გაბუჩს რომანი გაუტყდება მოსამსახურის ნათესავ ქალთან.

კითხვა: როდის არ ჩაითვლება კანონის დარღვევად ქუჩაში დაღურთხება?

პასუხი: როცა ტრამვის უცდი და საშველი არ დაადგება მის გამოჩენას.

კითხვა: როდის არის დასაშვები ჩხუბი და დაკა-დაკი ქუჩაში?

პასუხი: როცა ხედავ, რომ მართალს ამტკუენებენ და მტუენას ამართლებენ.

კითხვა: რატომ არის აკრძალული ტრამვაში თამბაქოს მოწევა?

პასუხი: იმიტომ, რომ ტრამვის ადმინისტრაციას მიზნად აქვს დასახული თამბაქოს ტრესტის გაკოტრება.

კითხვა: რატომ არის, რომ ტრამვაში ბოლო დროს ხალხი ერთმანეთს ზურგზე აზის?

პასუხი: ფიზკულტურას საბჭოს მიზანია ხალხს შესწავლოს ტანთვარჯიშობა.

კითხვა: როდის არ ჩაითვლება ქურდობა ბოროტ-მოქმედებად?

პასუხი: როცა დაწესებულებიდან მოიპარავ შენს განცხადებას, რომელსაც უპირებენ სანაგვე ყუთში გადაგდებას.

კითხვა: რას ნიშნავს თანამდებობის ბოროტად გამოყენება?

პასუხი: თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, როცა საქემს შენ აკეთებ, ხოლო ფულს სხვა-სქამს.

კითხვა: რას ნიშნავს უპასუხისმგებლობა?

პასუხი: კონორეთისობა.

კითხვა: ვის უნდა უწოდოთ უსაქმო კაცი?

პასუხი: ვინც ანკეტების შევსების მეტს არაფერს აკეთებს.

კითხვა: როდის შეიძლება კაცი ქუჩიდან გადაცდეს?

პასუხი: როცა სამსახურში შტატების შემცირება დაიწყება.

კითხვა: ვის უნდა ეწოდოს მწარე ტყუის კაცი?

პასუხი: ვისაც სჯერა, რომ უპროტექციოთ სამსახურს იშოვის.



ა.ე

**მასწავლებელი:**—ეს რა ამბავია?! ვინ მოსწია თამბაქო, რომ ასეთი ბოლი ღვას?

**მოწ:**—არ ვიცით, მასწავლებელო, გეგბ ბუხრიდან გამოდის!

**მასწავლებელი:**—გაჩუნდით! შეშა სადა გვაქვს, რომ ბუხარში ცეცხლი გვენთოს? მე სუნზე ვატყობ— „ხოვეტსკი“-ს კვამლია!

**მოწ:**—აზა, ბატონო, „ფედერაცია“ მოვსწიე, „ფედერაცია“.

მეშვიდე ასო იღვთ, სხვას არ შეხვით ხელთა და მიაკერეთ რიგ-რიგათ, არც თუ ეს ასე ძნელია (პირველ მოკვეთილ ასო ხომ ბოლოზე მისაბმელია).

გათავდა ტანჯვა, წამენა, რაც ახლა გამოიარეთ; ვერ ნახავთ მანე უკეთესს, ღუნია შემოიარეთ.

თუ კი გსურს იმნიარულო; სიცილი გადგეს პირზედა, ანდა გსურს—აღარ უიჭრობდ, ცხოვრების გასაქირხედა,—ოთხი აბანი მონახე ნაპოვნის შესაძენათა, არა იგი მუდამ ჟამს მრავალ სიცოცხს დენათა.

კარდანახელი

გ

რა ჰქვია ადვილს სადაც ხდება ყიღვა-გაყიღვა ფულისა? ზოგისა გაბზარბლი, ზოგის მომკვლელი გულისა.

ხუთი ჰოსგან შესდგება, ორი ჩვენ გვეჭონდეს, ძამია (ფეშქეშათ ჰჭონდეს ვისაც სურს უკანასკნელი სამია!).

მეორე საგნის სახელი სამი ასოთი ითქმება, ხშირათ შესვდებით მას მთაში, (ბარშიაც ბევრი იქნება).

შემის დახეთქა უმისოთ ზოგჯერ ძნელია ძალზედა, ცულს უნდა დაჰჭრა ყუაში, და არ მოგბიდდეს ტარზედა.

სამივე ასო იმისი შენახულს მივაკეროთა, კიდევ გვეჭარბება სხვა რამე, ეხლა სხვას მიეუბღოროთა.

მისახდენია ადვილათ, მონახეთ, ყველგან ბევრია, სახლის სახურათ ხმარობენ, აგურს მიუგაფე ფერია.

შედი ასოსგან შესდგება, მაგრამ ჩვენ ხუთი გვეჭირია, სამი წინ, ორი ბოლოში, მით მოვიშორეთ ჭირია.

ესეც მოვაბათ უწინდელთ... დაარულდა ასე ჩქარადა. გადაიკითხეთ ერთად და გამოუე ჩენი შარადა.

განკურნოთ ყველა მისგან, მართლა, რომ ცუდი სენია, და ვინც არ მორჩეს, ტარტაროზს მიეპროთეთ, როგორც მღვინია.—  
მ. გორისელი,

**გუგუნაშატი (სენაკის მასრა)**

ერმილე უნდა ვახსენოთ ფარანასეთ წოდებულიო; რადგან გაფლანგა რაც იყო მის სელში კლუბის ფულიო. იტნობდეთ—ესე ერმილე ძველ გამგეობის წევრია; ანგარიშის დროს დაატყდა თავზე ცოდვები ბუერია.

კირილეც ნუ გამოგვრჩება, თორემ დაწყდება გულიო; მასზე ამბობენ:—გაქაფა ბილეთებისა ფულიო.

არამკითხე-პოამბე.

**ფოთი**

თომცა ზამთრისკ სიცივემ შეგვიკრა ყინვით კრიკია,— მაგრამ მაინც გესურს, რომ გითხრათ: ვით თუ როგორი ბიკია.

ჯერ „გლუბკომიდან“ დავიწყოთ, რომ უყვართ ენის ლაქლაქი. ასე ამბობდენ:—„ზამთრისთვის შემით საესე გვაქვს ქალაქი.

მაგრამ, როდესაც მოთოვა, ყიაქმაქ შემატა მას წვლილიო,— მაშინ ხალხთანა შეშისთვის „გლუბკომაც“ იწყო ტირილი.

არ იყო შეშის ნამციცი, არც წყეულ „ლესკომს“ ჰქონია.. (ასე დროს შეშის კრიზისი აბა ვის გაუფგონია?!).

მუშკოპს ფანელოს მაგიერ უწყევია ქრელი ჩითია.

არც „კალოში“ აქეთ სათბილო, ჩაბთარს გაუძლოთ რითია?..

მ.თარახი.

**შ ა რ ა დ ე ბ ი**

1

ეპ, ძნელი საქმე ვიცისრე საჯოჯოხეთო კრებია; ზოგისა ამტირებელი, ზოგის მომგვრელი შევებისა. ვინცა ვერ ახსნას შარადა მარტივი ლექსთა წყობისა,— რალა ვაკადროთ მის მეტი— სახელი შეურცხვებისა.

პირველს საგნის საძენათ შორით არ გვინდა მსულელობა; არც დიდი ცოდნა ვეჭილის და მისი ენა მჭრელობა.

ხელ მოსაკიდის სახელი გვინდა პირველი ხელობა, (თუმცა მის ბოლო ანბანის არ ძალგვიძს მოუჭრელობა— სულ ბოლოს მაინც ვეჭირია, ასეა მისი მსულელობა).

უკეთ რომ ავხსნათ, აიღეთ ჩაქუჩი, ანდა ნამვალი... მგონი მიმივლით, რადგანაც ეხლა არც არის სამკალი.

მეორე გახლავთ ნაყოფი ეგრედ-წოდებულ ყანისა; ხედლიც იქმება, შემწვარი რგვალი მარცელოვან ტანისა. ერთი ნაყოფი იკმარეთ, არც დროა ახლა ქამისა, არც იმის სახელს სჭირია მოდება სადმე დანისა.

მესამეს პოებთ იოლათ, (ამას არ უნდა ცილობა), თუ გისწავლით ანბანი გაქეთ ცოტა გამოცდილებმა.

# ცნობათა მიწება



პარაჩის. თქვენ შეცდომით ჩავიგდით ყუთში ოქროს ათმანეთიანი. ჩვენ არ შეგვცდებოდათ თქვენსაკენ — განგებ ეადგებთ თქვენს წერილს გოდორში. (უკეთესს საქმეს მაინც ეერ მოახმარდით მაგ ფულს).

6. ქუთაისელს. თქვენი „ლია ბარათი“ დაბურულ კონვერტით რომ გავგზავნათ მშობლებისათვის, უმჯობესი ოქნებოდა თქვენთვის, რადგან მაშინ არ გამოაშვარავდებოდა თქვენი „სწავლა-განათლება“.

როინამდი მატარებლით ვიმგზავრებ და შემდეგ ქუთაისში ფეხით წაველ უფულოდის გამო.

თქვენი ჯიბის პატრონებაში ჩვენ ექვი არ შეგვცდის, მაგრამ თქვენ რიონიდან ქუთაისში ალბად იმიტომ აპირებთ ფეხით გამგზავრებას, რომ გეჩქარებათ და გინდა ადრე მიხვიდეთ სახლში, რასაც ვერ შესძლებთ ქუთაისის მატარებლის სისწრაფით.

პატარა უთულის: თქვენი წერილი თავისი გულთი ზაგრანინი კოტრაბანდით გადავგზავნი და სადაც ჯერ არს.

ბუმ-ბაც: — მართლაც სჯობდა ამ რვა კაპეციონ მარტის მეგერ ერთი გირფანკა პური გეყიდათ.

ბარო ტოს (საწერე): — თქვენი წერილის სიყალბე თქიდან სჩანს, რომ აპბობთ:

მთვრალმა კაცმა რომ მუსიკა გავიგონე, უფრო მოკვდი ქეიფის ზომზე და მემუსიკეს „წითელი თუნიანი“ ვაჩუქე ქალაქის ფულს.

მამასადამე: თქვენ არაფერიც არ გიჩუქებიათ, რადგან „წითელი თუნიანი“ (მეტის დროინდელი) არაფერი არა ღირს. თუ იტყვით ჩერვონცი იყო, ეს იქნება სიცრუე, რადგან წითელი (ფერი) ჩერვონცი არ გამოსულა. (ალბათ თქვენ ჯერ ჩერვონციც არ გინახავთ და დასაჩუქებელი ათი მანეთი სად გქონდათ?).

ლორიგანს (კოჯორი): — თქვენი წერილი რომ შეკარბილოთ გასაშვებათ, გამოეც ახეთი: ტარტაროზ, არის საჭირო

ჩანგალი ახლა შენია.

მოინახულე კოჯორში

ბავშვების ახალშენია.

აქ აღმზარდლებათ ბავშვების

არიახ: ნინო და ქეთო.

როცა მათ უსმენ, — სჯობია,

ყური თითებით დაკეთა.

სად უწმარწური ხიტყვა,

აქ იგონებენ ესენი...

ტარტაროზ, ამათ უთხარა:

— ახალშენს ჩამოეხსენით!

თორემ ამდენი ბავშვი

გაზრდილინი მაგათ ხელშია,

აცდება გზასა ნათელსა,

გადიჩებება ბნელშია...

ჯერჯერობით ეს იყოს; დანარჩენი შეძლებში.

ციხის-ძირელს (ბაღდადი): — შარადა არ გამოგეცდებოდა.

სულარას: — თქვენი შარადა ასე იწყება:  
უხაქმობით დაღაღულლი  
დავდიოდი შარადაო;  
უცბათ თავში გავიფიქრე:  
მეთქვა რამე შარადაო.  
ილექტრონმა თავში დამკრა  
და მიმაგლო მაგიდაზე;  
საწერ-კალამს ხელი ავკარ  
და დავიწვი ფიქრი მაზე...

კიდევ-და უსაქმით სვირნობა სჯობია ასეთ შარადას.

ჯალოს (და ყველას, ენც სწერს შარადას): — იუმორის და სატირის შარადა ერთი დარგია: მისი დაწერა ბევრთათვის აუტანელი ბარგია.

მეგზარაკე (ფოთი): — ხე-ტყის ქარხნის გაბეგეხე ასე სწერით:

დიდი ხანია, რაც ტრესტმა მუშებზე შეგვპირდა ბინაო; ისინი თბილმა ოთახმა ტკბილადაც დააძინაო.

ეს არის ბრალი ტრესტისა გამგეთ რომ არის ბუკია (აქ როგორც რითმას, ისე მას უხდება ცხელი სუკია).

იქ ტრესტში მეტი ხარჯებით სულ შეასუსტა კასაო.

შუშბანდები... ჩუქურთმა... ვინ-და კითხულობს სხვასაო...:

ტყვილა უსაყვედურებთ ქარხნის გამგეს. პირიქით, იგი თქვენგან მადლობის ღირსია, რადგან:

მოდო, ვიკითხვით რამდენათ შარალობს ტრესტი ჩვენია.

არც შეშა არის, არც ხე აქვთ, მუშებსაც დაგვისვენია.

კარგი იქნებოდა, რომ მასაც მისცემდნ დასვენებნ საშუალებას.

ქეციანს: — თქვენი „მედვერა“ ასე იწყება:

ია-უა, არ მაქვს ქუა

თავში მომხვდა ცულის ყუა.

მოვიპარე პურის ყუა

და შიგ ვნახე ჭია-ლუა...:

არ ვათხოვე ამას ყური,

ვჭამე, როგორც ხაჭაპური...

ალბათ პური, მოგიპარავთ ზაქტბოს ფურნიდან მაღაკანების ქუჩაზე.

ცივანს: — კარგია თქვენი ექსპრონეტი:

გამიგონეთ ხალხო ყველამ,

უნდა გითხრათ ერთი „რეჩი“.

ამ ზამთარში არ მაქვს შეშა,

არც ღუმელი და არც ფეჩი.

როცა ფული ჩამოვიგდე,

ვინახულე შე ტყე-ტრესტი,

მაგრამ შეშის მაგიერათ,

ამომაკრა უკან უესტი...

ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ტრესტმა იცოდა შენ არ გქონდა ფეჩი. შეგიძლიათ მაგ უესტიდან ჯერ ფეჩი გააკეთოთ და შემდეგ მიმართოთ ტრესტს შეშისათვის (შეშა რად გინდა, როცა ღუმელი და ფეჩი არ გქონებია?!).

ქალაქუნას: — ჩვენ თქვენს სასარგებლოთ ვერაფერს ვიტყვით. თქვენი ცოლი მართალია, როგორც ეს თქვენს წერილიდან სჩანს:

„საუხულობით ჩემს ცოლს ვერავინ მოახწრებდა ლოცინში შეგორებას-დაწოლას. ეხლა კი პირიქით ხდება. — დაწვი, გენაცვალე. და მოისვენე! აღდრსით მეუბნება ცოლი. თქვენ გგონიათ მას ეს პატივისცემით და სიყვარულით მოსდის! არ შეგუამოს ჭირმა. უშეშობის გამო (და უშეშობა უფულოდის გამო)...

ბინას არ ვათბობთ. მაშასადამე: ლოგინიც ცი-  
ვია. ცოლს უნდა მე ადრე დაწველოდო, ლოგინი გავათბო  
და მან შემდეგ მიასვენოს.

— რატომ უკველითვს მე გავათბო ლოგინი?  
ესლა შენ დაწვეი ჩემზე ადრე და შენ გაათბე! —  
ნივმართე წუხელის ცოლს.—უმანსიპაცია არა გწამს?

— დიას, მწამს და ამიტომაც შენ უნდა დაწვე  
ჩემზე უფრო ადრე. ხომ გახსოვს—ზაფხულობით მე  
შენი თქმაც არ მინდოდა, შენზე ადრე ვწვებო-  
დი... ზამთარში რიგი შენზეა!—

— მოდი და ნუ წაეჩხუბები ასეთ ცოლს და  
იცხოვრე ასეთ აღამიანთან!

შეყვარებულს:—შეგდივართ თქვენს მდგომარეობაში  
და უცვლელად ვათავსებთ თქვენს წერილს და ლექსს:

ტარტაროზო, შენ ერთი მაინც იყავი ამ ქვეყნათ  
ისეთი, რომელმაც შემიბრალოს მე და მალამო მო-  
ნაშველოს დაკოდილ გულზე.

ქალი მიყვარდა.. თითქოს მასაც უყვარდი (რა  
ვიცი—პაემანზე კი დადიოდა ჩემთან).. მაგრამ ში-  
ლალატა და გათხოვდა.

როცა შევხვდი, ასე მითხრა: —რა ვადარდებს?  
მე მაინც შენი ვიქნები! შენთვის ეს უკეთესია...

მაგრამ მომატყვილა. პაემანს მინიშნავს, ამ  
უინვაში ღამეებს ვათენებ დანიშნულ ალაგას, მაგრამ  
არ შოდის.

ოჰს! ვინ მიხვდება ჩემს ტანჯვას... ლექსი დავ-  
წერე; ჰა, გიგზავნი. გვედრები—აუცილებლათ მო-  
მთავსო. ვიცი წაიკითხავს და ეგებ შენიბრალოს იმ  
გულქვამ.

ლექსი აი ეს არის!

მამაბაბაბებს

ვხედავ ჩქოლებს  
სწორს და ტოლებს  
გატიტვლებულს,  
დალონებულს...  
ქვეშ საჯლომსა—  
დასაყრომხა,  
სადაც ზშირათ,  
ქალის პირათ  
მპატიუობდი,  
მნახულობდი....  
და ვუცქერი  
გულნაძგერი  
განაკვირი  
ანატირი  
გამიყინდა  
ფეხი, ცხვირი,  
მაინც ვდგევარ  
როგორც ვირი,

წარსულმა და  
აწყმოს მალამ  
ფიქრებს მიმცეს...  
გავსცქერ სივრცეს...  
ჩემო მალამ,  
სად ხარ? ხად ხარ?  
არა სინხარ...  
შენ არ მოხვალ  
არც დღეს, არც ხვალ...  
შენ დაწყვილდი  
დაქმარიშვილდი...  
ვხედვ, მარა  
ეს არ ქმარა,  
შენ ჩემს ნახვას  
არქმევს ზრახვას.  
ვერ გავუძლებ  
ამდენ „მარხვას“

ქარიშხალი  
დაუმცხრალი  
ხეებს აგებს,  
მოძაგძაგებს...  
მცივა, მცივა,  
გული მტკივა;  
არ მფენს ეს მზე  
სხივებს ჩემზე...  
ღამით მთვარე  
მოუღვარე  
დაღის, ბრწყინავს  
და მე მყინავს...  
შენ კი გძინავს,  
ქნარი ხვრინავს...  
სიცვიდან  
წამძრა ფეხი...  
შენ გაცვია  
ტანზე „მეხი“  
(დაგაყარე  
თავზე შეხი,  
რომ შემადგი  
ზურგზე კეხი).  
ქარიშხალი  
დაუმცხრალი  
ხეებს აგებს  
მოძაგძაგებს...

ჩვენი კეთილი რჩევაა—სახლში წახვიდეთ და ცეცხლს  
მიუჯღმეთ

„სიყვარულით დახრაკულს?—ვაჰს! ეს რა ამბავია  
ამდენი გამიჯნურება!? საკვირელია: სიცივე არის და  
ქკუა მაინც უღულს ზოგიერთებს. ან ეგებ ყინვების ზრა-  
ლო? კარგი, თქვენაც მოვისმენთ:

შენ რა იცოდი, თუ ყრუ ქუჩაში  
უღირს მონასაც ასე უყვარდი!  
უკან მივდევდი ფეხდაფეხ გზაში,  
რომ ღამით ეტლით ჩამომიარდი.

კიდევ კარგი, რომ მილიციელებისაგან დატუსაღებამ  
ვადარჩინებარ და ესლა რაღა გატირებს! ხომ იცი—  
ქალისათვის უკან გამოდგება—ეს ხულიგნობა.

ვაჰს! ეს რა ამბავი მომსდარა:

დამარცხდა კერპი— ცრემლი დაღვარე,  
ჟორთოღებულმა მოდი ჩემთანა  
და შემევედრე:—ო, შემიყვარე,  
ან-და ამ გულში ჩამეცი დანა....  
როგორც ცოდვლი შიშით, ცახცახით  
შენ ჩამივარდი ფეხების ქვეშ:  
ნაპოლეონის შრისხანე თვალით  
დავიმონავე და გაგაშეშე...

(სად არის დამხრჩველი კატა!).

დღეს შენ ხარ ჩემი მონა, პრინცესა  
და დასაჯელათ რით გავიმეტო?!  
ესლა შენ სტირი, გაქვს გულის კვნეხა.—  
არ დაივიწყო პრინცესა „ვეტო“.

კარგი, კარგი... ფრთხილათ ყმაწვილო, ტყავს  
გაქვიპავ, თორემ:

როცა კაცსა თვალსა მოჰკრავდა  
ჩემთან ყოფნას  
და ცხოვრებას  
ამჯობინა გაყრა.  
მიდიოდა სიცილითა  
ხი, ხი, ხა-ხა, ხა-ხა!

მან იცოდა აურა.

წავიდა და მიმატოვა  
მე დავადე ხახა.

კიდევ კარგი, რომ ესლა ბუზები არ არის!;

# უკვე დაიწყო ხელისმომწერა

## 1928 წლისათვის

გაზ. „**მუშა**“-ზე და მის უფასო

დაკატეგა ყოველ-კვირულ იუბორისტულ

ჟურ. „**ტარტაროზ**“-ზე.

ყველა უგნებული ვურთმელი უნდა იწერდეს, კითხუ-  
ლობდეს და ავრცელდეს თავისი ინტერესების დამცველ  
და გამომხატველ გაზ. „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზს“.

გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორას, რომელიც მოთავსებულია ჯორჯიაფილის  
ქუჩაზე № 6, აქვს თავისი განყოფილებები საქართველოს ყველა ქალაქში და  
დაბაში, სადაც მიიღება ხელისმომწერა და ყოველგვარი განცხადება გაზეთში  
გამოსაქვეყნებლად.

გაზეთ „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზი“-ს მუშაობა და გლახობა ათმსუ-  
ლი ფიარადებული ამდენი ხნის გამოცდილებით და დაკვირვებით ყოველ კუთ-  
ხიდან, აწვდის რედაქციას მასალებს ადგილობრივ ცხოვრების პირ-ვაკააში.

გაზეთი „მუშა“ და ყურნალი „ტარტაროზი“  
თვითურათ ღირს ოთხი აბაზი (კერძობათვის  
ერთი მანეთი).

„ტარტაროზ“-ზე ცალკე ხელისმომწერა არ მიიღება.

### ირქართუ გამოცემისათვის.

გახსოვდეთ უამდები: ნუ გადადებთ უამდვისათვის, რის გამო-  
თვაც ახლა უნიკლება ე. ი. ახლავა უამდვით გაზეთის გამოცემა.



# ბრძობა

უღმური შოგა



# საპუბლიკური ფაფხნილება

ბოლო საათში  
მედიკოს დარეკვა —  
ლუბად გაისმა  
ბარის წკრილი.  
შეწყდა დარბაზში:  
ოლიაქოთი,  
წაიმა - უკუომა  
ბენა ტრიალი,  
ყველამ მონახა  
თავის ალაგი...  
და ტარტაროზი  
მე ატბადებს:  
— კრებას ვატბადებ,  
მებო გახსნილათ  
და თავმჯდომარის  
ფობოვთ კანდიდატებს —  
ერთხმით გაისმა:  
— თქვენ ვირჩევთ, თქვენა! —  
და ამის მოკევა  
ტაში მქუხარე)...  
და ტარტაროზი  
თავის ალაგას  
დარბაზნდა ებლა  
ვით თავმჯდომარე  
კრებაზე იყვენ:  
დარბაზან, ვინმე  
ბლარ - ბლარბან,  
ზმუკი, ბხელი,  
ლიტო ენუქი  
ხეგორ - ბენ-შეხ,  
ხინტო, გოგია  
და გორბხელი.  
პროვინციიდან:  
შეგნელი ბზიკი  
წაველა ჩემუნტი.  
ქონ-გან, „ვიზინტი“  
ქუთაისიდან  
ქო — კოსტიკოვი  
და ბორჯომიდან  
ბარბენ ბბოლი.

დაბაროსს სწევენ  
დელეგატები  
და ბოლო დარბაზში  
სდგას მისი ბოლი).  
ბის მბატვართ რაზმი.  
და სურათები  
ლქირაეთ ხელში  
და ბლოიაში...  
ჩვენი მბატვრები:  
ლონი, ჩევაზი,  
ბეკარ შმერლინგი  
და მარიაში.

დარბაზის კარებს  
ღობულათ დარაჯობნ  
ხემაზე მბინარე  
ჩვენი ევგენი.  
ვაფოთილებო: თუ ქო  
დაგვეს მტერი —  
ჩვენი ევგენი,  
მეღვრათ ებლდენი —  
ამბობს: — მა რას ვიზმ?!  
მე ვებლდენები,  
რომ თუ შეესძელა  
ბის წაქევეთ —

მერე მე შეიბზეთ  
პატივისცება —  
ხერხემლის ძვალი  
მთლათ ჩამტვრევა  
ტარასოიქის ხილსაა  
ამხანაგებო  
და მეგობრობო,  
არზე მოვადგა  
ალი წელი.  
წელმა, რომელიც  
დებდა და მიღის,  
ასწყვიტა შრომით  
ან ჩვენი წელი —  
მაგრამ სიმათლე  
უნდა ითქვას,  
რომ იყო იგი  
ნაყოფიერი,  
რითაც შეესძელით.  
რომ ცხოვრებისთვის  
მიგვიჩა სოლ სხვა  
სახე, იერი.  
ბევრი გაკეთდა  
და კითოე მიჩი  
უნდა გაკვიდეს  
აქ — მომავალში.  
(და იხელიც ვვაქვს  
რომ თქვენთაგანი  
კითოე კი არა  
დერჩებით ვალში).

ამგვართ, ასე;  
მხანაგებო,  
დის, გვმორდება  
ქენ ოცდაშვიდი.  
(ფეხზე აღვომით  
ას პატივი ვსცეთ,  
კადაუხბადოთ  
ბის პანაშვიდი).  
მომავალ წლიდან  
არის ეურნალის  
გამოცემისა  
მისხუთე წელი,  
და ნუ თუ ჩვენში  
ენმე იქნება,  
რომ ის არ იყოს  
ჩვენი მკითხველი?!?  
არა და არა!  
შეუძლებელი  
როს ეს საქმე —  
სეთი ცულს...  
ყველა იქნება  
ეღის-მომწერი  
თუ კაცი არის  
და ხუროეს ქული.

**მისხუთე წელი**  
„ტარტაროზი“-სა,  
და მეოერთმეტე —  
კი ოქტომბერი...  
(რა კაცი არის,  
რომელს არ ესმის —  
ჩვენი ცხოვრება  
თუ როგორ მღერის?!)

ვთი, სირცხვილო  
თუ ვინმე არის,  
რომ ის არ იყოს  
ჩვენი მკითხველი!

იმას დისცინის  
მასხრათ აიგდებს,  
კაცათ არ ჩათვლის.  
კაცი ყოველი...  
და რომ ასეთი  
სირცხვილისგან  
იყოთ სუყველა  
თქვენ დაზღვეული,  
დღეს ხვალ, ზეგ მაზგე  
აუცილებლათ  
იყავით ყველა  
ჩვენი წვეული.  
გამოიწერეთ  
ჩვენი ვაზეთი  
თავის ეურნალით:  
„ტარტაროზი“-თა  
(თუ არა გინდათ  
რომ ტარტაროზმა  
უყველას ცეცხლს  
მწვავე როზგითა)..  
რათა ჩვენს შორის  
თავიდან იქნეს  
იცილებული  
გაუგებრობა  
და ძველებურათ  
(და კიდევ მტათ)  
გალრმადეს ჩვენში  
ყველა მეგობრობა —  
ამიტომ კრება,  
ადაცა მქონდა  
ბგლი წვერთა  
ბრთა მხილებას. —  
რითხათა ადგეს  
თუყველასათკია  
დავადებულო  
დადგენილებას:  
ყველა კაცას  
უნდა მკონდეს  
„ტარტაროზი“  
ახალ წელსა.  
ამიტომაც  
უსვე დროა,  
რომ აწერდეთ  
ვაზეთს ხელსა  
ჩამოვივლით  
ყველა ოჯახს  
და ხალაც არ  
აღმოჩნდება, —  
ჩვენ არ ვაგებთ  
პახუხს მათ წინ,  
თუ რამ ცული  
იქ მოხდება.

**ტარტაროზის წამვლა**  
ვინც ჩვენს „ტარტაროზს“  
არ ვამოიწერს, —  
საქმე წაუბდეს  
მომავალ წელში.  
ბედმა უმტყუნოს,  
ვალში ჩავარდეს,  
ეერ ვამართოს  
ერადროს წელში...  
აბა სადა ხარ,  
ოთხო აბაზო,  
ამ საქმისათვის  
ვადიდებულო?!  
სამვალდებულო  
დადგენილება  
ყველასთვის არის  
სამვალდებულო!  
ტარტაროზი.



**მღვდელი:**—ღმერთო მიშველე ანტი-რელიგიურ საწინააღმდეგო კამპანიის ჩატარებაში.  
**ახალი-რელიგიურ კამპანიის „ჩამბარბმული“:**—ღმერთო მიშველე ანტი-რელიგიურ კამპანიის ჩატარებაში!  
**ღიბაქანი:**— ღმერთო, უოველგვარი „კამპანია“ —ქეთუში ღამხწარი და კარგი ღრო გამატარებე.

## ბ ა გ ი თ უ რ ე ბ ა

(ტრალი-კომედია ერთ სანახაობად)

(სცენა წარმოადგენს სამოთხეში ეკლესიის ყადაზე მოწყობილ დარბაზს. ერთ კუთხეში ამაღლებულ ადგილზე ძველი ხალიჩა და მუთაქები, მეორე კუთხეში დიდი სარკე, კედლებზე ჩამოხუნებული ფრესკები. ჩამქრალ ბუზართან შამა-ღმერთი ზაიათს ღლინებს:)

**შამა-ღმერთი:** დაფე-ე-ფ-რდი, დაე-ჩა-ჩა-ა-ნაკ-დი-ი, ხავ-საა-ად-დამე-ლო, ჭალა-ა-ა-ა-რა-ა-ა-ა, კომსო-მო-ოღს მღე-ძე-უ-ღე მი ვა-ა-არ, მრეფხა-ა-ა-ა უნდი-ვა-ა-არ აღა-რა-ა-ა-ა-ა.

(შემოდის მარიამი, ცალ ხელში უთო უჭირავს, მეორეში ანთებული ჭკაქი, უახლოვდება ბუზარს).

მარიამი: შტო ზა ბეზობრაზაჲს. ნამდვილი ნაცარი ქექია გაბდი შე უბედურო, აღარც ოჯახზე ფიქრობ, აღარც ხალხის ცხოვებაზე, იმეოლებიდან დავარდი და ბუზართანა წუწუნობ, გაიწი პაქალუსტა იქით, მაგ ღადარ-რში იქნება ცეცხლი კიდევ იყოს, უთოს გახურება მინდა, ჩემი ძველი კრებულშინის კაბა უნდა დავაუთოო, ამ საღამოს ალბად ვინმე შემოხეტება, ჩემის ბიჭის დაბადების ღლეა... (უცბად შეუტევს) პრიამო ნა ნერვი დეისტ-

რემ ჩესტროე სლოვო, რას ჩამჯდარბარ კრუხიეთ? ადე-ქი. ხელი გაანძრიე ან ბახარში ვადა, ზაკუსკა მოიტანე, ღვედეკოოპში შეიარე, ნისიათ მოგცემენ ღლესასწაული ღლეა, მშვირები ხომ არ ვისხვებით?

